

„ხარს ვგეგვარ ნაიალღარს, ოქით მიწასა ვჩხვერ ვბუბუნებ.
ღმერთო, სამშობლო მიტოცხლე, მძინარეც ამას ვღუღუნებ.“ ვაჟა



თავისუფლება

ტრიბუნა

825 / 2
1978

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ოჯახი

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal periodique en langue géorgienne

Djoradze's Library

№ 22 PARIS AOUT 1978 აგვისტო პარიზი № 22



ილია ჭავჭავაძე
1837 - 1907 - 1978



შინაარსი

ქურნალის ფონდი

• ილია და საქართველო - მოწინავე	ნ. ა.	100.00
• 3 მოსკოვი უთმობს ქართველებს	ნამირია ჯოჯუაძე	50.00
ვიქტორ ზორზა. თარგმანი გ. ჯაყელის	ლუბა აბდუშელი	100.00
• 4 მოკლედ დიდ ამბებზე	რე ზურაბიშვილი	150.00
• 5 ილია, საქართველოს უკვდავი სული	ვიტალი უვრეხელიძე	16.40
გიორგი ქართველი	აკაკი შავგულიძე	100.00
• 7 თერგის დაღევა	მიშა გაფრინდაშვილი	100.00
გიორგი ჯაყელი	ს. კეკელიძე	80.00
• 9 სამადლობელი (ლექსი)	ვანო მაჩაბელი	80.00
როზა აბნერაშვილი	თათაოხან ასათძე	100.00
• 10 ილიას იუბილე საქართველოში	ალექსანდრე კარგარეთელი	50.00
მ. გ.	პროფ. გ. ნაკაშიძე	120.00
• 15 დავით ურატაძე (გამოსახოვარი)	პეტრე ზვედელიძე	422.00
ვახტანგი ჩხაიძე	თამარა ლალიძე	100.00
• 16 მარიამ დოლობერიძე(ნეკროლოგის მაგიერ)	პროფ. დ. თოხაძე	400.00
გ. წ.	ექიმი გ. ვაბლიანი	94.00
• 18 რამდენიმე შენიშვნა		
ალექსანდრე სულხანიშვილი	სულ ფრანგ. ფრ-ბი	2.062.40
• 22 აკ. გეწაძის „მეზარადში ამოსული ყვავილი“		
დავით ურატაძე		
• 23 ლექსები - დავით აჯიაშვილი		
• 24 ლექსები - პერვესიელი		

ილია და საქართველო

ეს ნომერი ილია ქავჭავაძის იუბილეს ეძღვნება. გასულ წელში შესრულდა 140 წელი მისი დაბადებიდან და 70 მის მუხანათურ მკვლევობიდან. ამჟამად მასზე ლაპარაკი თითქოს დაგვიანებულად არის და უდროოდ, მაგრამ ვინაიდან საბჭ. საქართველოს მესვეურებმა ასე ინებეს, მხოლოდ მათ რადდაგეტოვოთ ჩვენი სათაყვანებელი ილია? მითუმეტეს, რომ ქართველმა ერმა წელს ძლიერი შემოტევები მოიგერია და მათ მამულიშვილობას ესაჭიროება ილიას პიროვნების დიდ პატრიოტულ ემბაზში განბანვა-გაჯანსაღება. ამიტომ, არც საქართველოში და არც მის გარედ მცხოვრებ ქართველებისათვის უდროოდ და ურიგოდ არ არის დიდი ილიას გახსენება, მისი ძვირფასი აჩრდილის გამოწვევა.

მაისში თბილისში ჩატარებული პატრიოტული მანიფესტაციები შეიძლება ითქვას: ქართველი ხალხის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მანიფესტანტების მოთხოვნების პირველი და მთავარი ნაწილი, ქართული ენის ერთადერთ ოფიციალურ ენად დატოვებისა, კონსტიტუციონალურად დაკმაყოფილებული იქნა. უნდა აღინიშნოს: ქართველებთან ერთად, ამ საკითხში, საბჭოეთის ყველა სხვა ეროვნებებმაც მოიგეს. დემონსტრატების მეორე მოთხოვნე იყო ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას პატიმრობიდან განთავისუფლება. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხში წარმატება სანახევროდ იქნა მიღწეული, რადგანაც, ეკვი არ შეიძლება, თუ არა ქართველი ხალხის ერთობლივი მხარდაჭერა, მათ ვაცოლებით უფრო მკაცრად დასჯილდნენ. კ.გ.ბ.-ხელისუფლებამ მიაღწია ზ. გამსახურდიას ავტორიტეტის ნაწილობრივ შელახვას, მაგრამ მთავარია არა მუქარის ქვეშ მიღებული განცხადებები, არამედ თავისი ნებით წარმოებული საქმიანობა, ეს კი სრულიად ზ. გამსახურდიას სასარგებლოდ მეტყველებს.

ქარ. პოლიტ. ემიგრაცია ბეჯითად აღევნებს თვალყურს სამშობლოში მოვლენების განვითარებას და თავისი მცირე საშუალებებით, მაგრამ დიდი სურვილებით ცდილობს და მომავალშიც ეცდება დამპყრობელების წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანოს.

მოსკოვი უთმობს ქართველებს

ასეთი სათაური აქვს ვიქტორ ზორჯას სტატიას, რომელიც დაიბეჭდა ინგლისურ ჟურნალ „მანჩესტერ გუარდიან ვიკლ“-ში ა.წ. 30 აპრილს და ძირითადად შემდეგი აზრია მასში გატარებული:

„რუსები ნახევარს წარმოადგენენ საბჭოთა მოსახლეობისას. უცხოელი მეთვალყურე ხშირად ეკითხება თავის თავს: ნუთუ მეორე ნახევარი მუდამ დაემორჩილება მათ ბატონობას? ნაპერწკალი, რომელსაც შეუძლია ხანძრის ვაჭალება, ალბათ აინთება საქართველოში, რომლის სტუდენტობამ ეს-ეს არის მოიგო ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა კომპარტიის წინააღმდეგ. ახალ კონსტიტუციას მიზნად ჰქონდა შეეცალა ქართული ენა, როგორც ერთადერთი ოფიციალური ენა საქართველოს რესპუბლიკაში. ამან ააღელვა სტუდენტობა, რომელმაც გამართა დემონსტრაცია თბილისის მთავარ ქუჩებში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ მაშინვე დაუთმო სტუდენტობას, მიუხედავად იმისა, რომ ჯარი მოყვანილი იყო. სრული შესაძლებელია: სტუდენტების მოთხოვნა, რომ არ ყოფილიყო დაკმაყოფილებული, მოხდებოდა ბრძოლა ქუჩებში და შესაძლებელია უარესიც-აჯანყება რომლის შედეგების გათვალისწინება ძველია.“

თბილისის ქუჩებში ერთხელ უკვე მოხდა ბრძოლები, როცა ნიკიტა ხრუშჩოვმა ორმოცდაათიანი წლების შუაში შეურაცხყოფა მიაყენა ყველაზე სახელგანთქმულ ქართველის სახელს, ისტაქ ჯულაშვილს, რომელსაც სტალინის სახელით უფრო იცნობენ.

ბევრ აზარტს, საბჭოთა კავშირში, კირივით ეშინია გარუსებისა. საკმარისია სულ ცოტა უკადრისად მოზყარბა ეროვნულ ენებისადმი, რომ ამან ეროვნული თავისებურების მოსპობის ცდის ხასიათი მიიღოს. ეს საკითხი ერთგვარად არსებობს ყველა „ეროვნულ“ რესპუბლიკებში. უკრაინაშიც, რომლის სლავურ ენას აქვს მსგავსება რუსულ ენასთან, უკანასკნელ ხანში ნაციონალიზმის გაძლიერებასთან ერთად, ენის საკითხი იქცა მნიშვნელოვან პრობლემად. თავისებურად, ენობრივი ჭიდილი სიმბოლო გახდა რუსების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ვარკუნულად ენის საკითხი არ ჩანს პოლიტიკურ საკითხებად. ალბათ ნაკლებად სახიფათოა ჯოხის ხმარა რუსული ენის „ენფილტრაციის“ წინააღმდეგ, ვიდრე მაღალკამაგირიან რუს ბიუროკრატების და ტექნოკრატების წინააღმდეგ, როგორც უკრაინაში და საქართველოში, ისე დანარჩენ რესპუბლიკებში. სინამდვილეში კი ბრძოლა უცხოელ, რუს ბატონების წინააღმდეგ, რომლებსაც უჭირავთ მთავარი ადმინისტრაციული ადგილები სხვადასხვა რესპუბლიკებში.

საქართველოში, რომლის ისტორია და კულტურა რუსულზე ბევრად უფრო ძველია, ეროვნულმა სიამაყემ ენის საკითხი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ამახად გადააქცია. ორი წლის წინად ქართველ მწერალთა ყრილობაზე ერთმა ორატორმა, რევაზ ჯაფარიძემ, ისარგებლა ენის საკითხით, რათა შებრძოლებოდა იმ „შოვინისტურ აზრს ვითომც ყველა ერთი უნდა ემორჩილებოდეს დიდ რუს ერსაო.“ მას გამორჩევილი ჰქონდა ლენინის ერთი ნაწიერი, რომელიც მიმართულია რუს შოვინისტების წინააღმდეგ, რომლებსაც დომებიათ რუსეთის იმპერიის 60 პროცენტის მოსახლეობის სალაპარაკო ედუკაციის მოსპობა. ლენინის ამ ციტატების მოტანას დამსწრენი დიდი მოწონებით ხვდებოდნენ. მწერალმა ჯაფარიძემ აგრეთვე პროტესტი გამოთქვა, რომ სკოლებში მეოთხე კლასის შემდეგ სწავლება უნდა იქნას რუსულად, თბილისის უნივერსიტეტში ლექციების რუსულად კითხვის ცდისათვის და სხვა. ყველა ამებში მომხსენებელი ხედავდა რუსიფიკაციისაკენ მიმავალ გზას. საქ. კპცკ-ის მდივანი, ედ. შევარდნაძე ესწრებოდა ამ კრებას. მან ცადა ეპასუხნა, მაგრამ დამსწრეები აწყვეტინებდნენ. რაც მოწობდა, რომ აუდიტორია მთლიანად იზიარებდა ჯაფარიძის მოსაზრებებს. შევარდნაძე მაინც არ დახებდა. კრება მოიწვია მისთვის უფრო ხელსაყრელ გარემოში, კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მან ილაპარაკა „ნაციონალისტური საშინაობის“ შესახებ. შევარდნაძე თავს დაესხა მათ, ვინც ხმარობს ენობრივ საკითხს პარტიის დასამოკრებლად. მათ თავი მოაქვე „ნაციონალური ენის“ და „ნაციონალურ სკოლის“ დამცველებად და ასეთ აღამოახებისათვის ადგილი არ უნდა იყოს ჩვენს საზოგადოებაშიო. ედ. შევარდნაძემ ასეთ აღამოახებს უწოდა „ცრუ პატრონები“, რომლებიც თვით ნიშნავენ თავიანთ თავს, ჰქმნიან არც-დაჩვენს იაფფასიანი თავისგამორჩენისათვის და იაფფასიანი „პოპულიარობისათვის“.



შევარდნაძემ ვერ დამალა, რომ ამ ხალხს ყავთ მიმდევრები და, რომ ამათი წყალობით პოპულარულად და მძიმედ უკან დახვევა ვიწრო ეროვნულ ინტერესებში-ლიტერატურაში და ხელოვნებაში და კულტურაში. პარტიის დასაყრდნობი ხალხია. მას სწამს რუსების მიმართ, ისინი არიან ნამდვილი ინტერნაციონალისტები, დაპირისპირებული „ვიპარტიოტებთან“.

მოთხრობილი ამბავი არის ბოლოს და ბოლოს საერთო იმ საერთო განწყობილების, რომელიც თანდათან ძლიერდება საბჭოთა კავშირში, რუსების ბატონობის წინააღმდეგ. ამ მისწრაფებებს აქვთ მსგავსი მოძრაობები მსოფლიოში- შოტლანდიაში, ველში, ბასკებში, კეებეკში და სხვაგან, მაგრამ ცოტა ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც საბჭოთა კავშირზე უფრო დიდი ხიფათი მოელოდეს, სამინაო ფრონტზე ავტონომიის და დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამო. საბჭ. კავშირი წარმოდგენს ნაკუნ-ნაკუნებთან შეერთებულ ნიხს, რომლის ნაქრების სიდიდე იცვლება 50 მილიონიან უკრაინიდან 5 მილიონიან საქართველომდე. მოთხოვნილება ნაციონალურ დამოუკიდებელ არსებობაზე უძველესად არსებობს, როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში და სხვაგან, მაგრამ რაც ჩვენ არ ვიცით, ეს ის არის, თუ რა გზით და როდის ეს საერთო ნაციონალისტური მოთხოვნები გადაიქცევა კომუნისტურ რევოლუციის მუქარად. თბილისში ენობრივი დემონსტაცია, რომ გადაქცეულია ამბოხებად, უთუოდ აფრიალებდნენ დროშები პოლიტიკური წარწერებითაც. შევარდნაძე დათანხმდა დემონსტრატების მოთხოვნილებაზე-ქართული ენა ძველებურად მარტო დარჩებოდა ოფიციალურ ენად რესპუბლიკაში. შევარდნაძემ უთუოდ კარგად იცოდა თუ რა მოხდებოდა, მას, რომ არ დაელოდა დემონსტრატებისათვის.

ინგლისურიდან თავისუფლად თარგმნა

zzz zzz zzz zzz zzz გიორგი ჯაყელმა
მოკლედ დიდ ამბებზე

14 აპრილის თბილისის დემონსტრაცია

არაოფიციალური ცნობით, 14 აპრილს, თბილისში გამართული დემონსტრაცია მასიური, საყოველთაო იყო, რომლის გულსაც წარმოადგენდა უნივერსიტეტის სტუდენტობა. სტუდენტობას წინ მიუძღოდა პროფესორ-მასწავლებლები მხოვანი აკადემიკოსის აკაკი შანიძის წინამძღოლობით.

9 მაისი. 88 წლის ასაკში გარდაიცვალა პოეტი შარიამ ალექსიძე, რომელიც უფრო ცნობილი იყო მარიჯანის სახელით. დასაფლავდა დიდუბის მწვერალთა პანთეონში.

22 ივლისს გარდაიცვალა გამოჩენილი მხატვარი, პროფესორი სერგო კობულაძე.

ივნისი. ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის კოლეჯის სპატიო პროფესორის დიპლომი გადაეცა საბჭოთა კავშირში უკვე სახელგანთქმულ მხატვარ-გამოგონებელს ზურაბ წერეთელს. 1979 წელს ბროკლინის უნივერსიტეტში გაიმართება მსოფლიო საბავშვო ასპარეზობა, ზ. წერეთელს მინდობილი აქვს მისი მხატვრულ ფაფორშება.

ნიუ-იორკის მეშვიდე კინო-ვიდეოფესტივალზე ქართულმა ფილმმა „მწერი“, რომლის რეჟისორია ზაალ კაკაბაძე, მიიღო უმაღლესი ჯილდო.

ზ. გამსახურდიას გასამართლების შემდეგ

ამერიკის შ. შ.-ის პრესამ „ბალტიმორ სანმა“ და „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნეს თავიანთი კორესპონდენტების წერილები, რომელთა მიხედვითაც პროცესზე ზ. გამსახურდიას მიერ გაეთქმული მონაწილების განცხადება, რომელიც საბჭოთა ტელევიზიამ გაავრცელა, მოგონილია ხელისუფლების მიერ. საბჭოთა ტელევიზიამ ცილისწამების ბრალდებით სასამართლოში უჩივლა ამერიკელ კორესპონდენტებს პაროლდ დ. პიპერს და კრეგ რ. უიტნის. საბჭოთა „სასამართლოზე“ მოწმედ დაკითხულმა ზ. გამსახურდიამ განაცხადა, რომ მან თავის ნებით მიცა ინტერვიუ საბჭ. ტელევიზიას და, რომ გავრცელებული ვერსია შეესაბამება მის განცხადებას. სწორედ ეს სასამართლო მასკარადი ცხადყოფს, რომ გამსახურდიას-ცილისწამების პროცესი ის არ ჩატარებულა, როგორც ამას საბჭოთა პროპაგანდა აცხადებს და, რომ ამ პროცესით განმეორებით ცდილობენ დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის მოტყუებას.

ილია, საქართველოს უკვდავი სული

როცა ილია ქავეკავაძეს ვიკონებთ, ჩვენს წინაშე წარმოდგება არაჩვეულებრივად დიდი და დიდებული ქართველი, რომლის ბადალიც იშვიათად შეგხვდებით „ქართლის ცხოვრების“ გრძელ და მრავალფეროვან მატრიანეში.

თითქმის ყველა ძირითად და მნიშვნელოვან დარგს მისწვდა მისი გენია, და ყველამან წარუშლელი კვალი დააჩნია, იყო ეს პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა, დედანდა თუ სხვა. კოსიკოპატიური ცოდნით აღჭურვილი, ილია, ფარგანსავით თავს დასატრიალებს ქართველი ხალხის ისტორიას, იცავს და უვლის მას შინაურ და გარეშე გამყალბებულენისა, ნიპილისტებისა თუ ვამპიქებლებისაგან, ვითარცა კრუხი იცავს თავის წიწილებს ძერასაგან.

მაგარამ, ამავე დროს, ის გულხელდაკრფვილი არ მისტირის წარსულს:

„მას ნულარ ვტრით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა; მოვიკათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი გშვთა მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.“-ო

და ესენი ლიტონი სიტყვები როდი არიან, არამედ თეორია, რომლითაც ავტორი ხელმძღვანელობს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. აარსებს ქართულ ბანკს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ჯერ პერიოდულ ჟურნალს, შემდეგ ყოველდღიურ გაზეთს და სხვა დიდ-მნიშვნელოვან ეროვნულ წამოწყებებს. დაუღალავი ფუტკარივით იღწვის, რათა დაამხადოს „ქართული ეროვნული თავლი“, ქართველი კაცის მატერიალური და სულიერი საზრდო.

ილია დიდის გულმოდგინებით ცდილობს შეანულოს, შეამსუბუქოს არსებული სოციალური უკუღმართობა. ოფლი მოსწმინდოს, მოაღონიეროს მშრომელი ხალხი მატერიალურად, გათვითონობიეროს ის გონებრივად დაშთაბეროს სული გმირული, სული თვითმყოფადი და ამაღლებული, რომელიც არა და ვერშეეგუება ლაქარბას. მოძმისა და მეგობრის დღაბს, სულმდაბლობას და მონობას. ასე შესახება ამ შესანიშნავი ძოღვაწის ქადაგება და ყოველდღიური საქმიანობა.

ილია ქავეკავაძის მთელი მხატვრული შემოქმედება ღრმად შინაარსიანია. მისი პოეზია და პროზა იმდენად თავისი ესთეტიკურობით კი არ გვიბლავს, რამდენადაც თავიანთი ღრმა ჩანადფრით. გადაიკითხეთ კიდევ ერთხელ მისი პოეზიის შედეგები: „ყვარლის მთებს“, „ქართლის დედას“, „მესმის მესმის“, „ოიანიარი“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვეცან მე სიყვარულს“, „ჩემო კარგო ქვეყანას“, „პოეტი“, „ბაზალეთის ტბა“, „გუფონის დედა“, „ჩემო კალამო“ და სხვა და რაც უფრო ხშირად და დაკვირვებით წაიკითხავთ, ჰით უფრო მძლავრად შევირხვევენ ისინი, ჩემო მეთხველო, მაგ შენი ვულის სათუთ სიმებს.

ასევე ღრმააზროვანიო ილიას ყველა სატირული ლირიკა, მისი ყველა პოემა და მილი ყველა მოთხრობა. ვერსად, თითქმის ვერსად, მის შემოქმედებაში ვერ შეხვდებით თავის შესატყვევს, საღაღობოს, გასართობად საკითხავს. ყველაფერი მის შემოქმედებაში ეხმარება და იშვიათი გონებამახვილობით პასუხს აძლევს მისი დროის საკიბობროტო საკითხებს. ყველა მალამოა იმ სატიკირებისა რაც აწუხებდა იმდროინდელ ქართველ კაცს.

კრემლის ბატონების ვულის მოგების სურვილით ამჩატებული ზოგიერთი დღევანდელი კალმოსანი არსულ ცილობის ილია ქავეკავაძის განათლება რუსეთს დაუკავშიროს და მით მისი პიროვნება რუსული კულტურის მოვალე წარმოგვიჩინოს, რათა ჩვენი ვულემი რუსებისადმი მადლიერების გრძნობით ააძგეროს. როგორ ბრყვეულად ცოდავენ ეს ვაჭბატონები! ჯერ ერთი, ცოდნა საკაცობრიოა, ის ხომ რუსებმაც სხვებისაგან მიიღეს? ცოდნას თუ სად მიიღებს ახალგაზრდა არ ენიჭება დიდი მნიშვნელობა: შემდეგ, ის ფაქტი, რომ ილია და მისი თაობა, რომ მოკლებული იყო სამშობლოში უმაღლესი განათლების საშუალებას, არ მეტყველებს რუსების სახელმწიფოს სასარგებლოდ. დაბოლოს, მთავარი და დიდმნიშვნელოვანი ილია ქავეკავაძის პიროვნებაში ის არის, რომ შინ თუ გარედ მიღებული საფუძვლიანი სწავლა-განათლება, თავისი ღრმა გონების პრიზმაში გაატარა და შემდეგ საფუძვლად დაუდგა მშობლიური ერის ჟანგარო სამსახურს. იმ მიზნით, რომ ის გაენთავისუფლებია რუსების ბატონობისგან. ამიტომაც, დღესაც ქართველები თავყენს ცეცმთ ილიას ხსოვნას და სრულყოფითაუ მისთვის არა, რომ ის თანავტანდობდა „სოცერენიკების“ თუ სხვა რუსულ პროგრესისტულ მიმდინარეობას. რა თქმა უნდა, ილიას კავშირები, ნაცნობობა, მეგობრობა ამ თანავტანდობა რუსეთის მოღვაწეებთან, ფილოსოფიურ-ლიტერატურულ-პოლიტიკურ წრეებთან თავისთავად ძალიან საინ-

ტერესოა თვით ილიას პიროვნების გასაგებად.

დიდმა მოაზროვნემ და მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ, სახელგანთქმულმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ, სახელოვანმა ხელოვანებმა ვუდიასვილმა, კაკაბაძემ და ახვლედიანმა და სხვებმა თავიანთი ცოდნა დასავლეთ ევროპაში გააღრმავეს; განა ეს ავალებს ქართველებს მონური სიყვარულის და მადლიერების გძინობებით განიმსკვალონ ფრანგებისა, გერმანელებისა ან ინგლისელების მიმართ? მითუმეტეს, რომ ამ უკანასკნელებს არასოდეს არ დაუბეზრიათ საქართველო და არც მომავალში ემუქრებიან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას.

როგორც ილია, ისე მისი თერგდალეულთა თაობა სწორედ იმით ხასიათდება, რომ განათლება რუსეთში მიიღეს და იქიდან უკან დაბრუნების შემდეგ, დიდი უნარით და მონღო-მებით სათავეში ჩაუდგნენ ეროვნულ ძალთა შეკავშირების, დარაზმვის და ეროვნულ განთავისუფლების საქმეს. ეს მათი საქციელი არ ყოფილა ახალი და უჩვეულო ჩვენი ერის ისტორიაში; ადრეც არაერთი მავალითი ყოფილა, როცა ქართველი უფლისწულები ბიზანტიაში, ირანში თუ მონგოლეთში აღზრდილები, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სათავეში ჩადგომიან ქართველი ხალხის განთავისუფლების ბრძოლებს. თერგდალეულების თაობაც სწორედ ამ ნაცად გზას გაჰყვა, ქართული რასის ცხოველმყოფელობის დამამტკიცებელ გზას, და მით მომავალი თაობების მადლობა და პატივისცემა დაიმსახურეს.

დიდმა ნიქმა, კიდევ უფროს დიდმა ენერჯიამ და მგზნებარე პატრიოტიზმმა ილია ქავექავაძე სიცოცხლეშივე საქართველოს უგვირგვინო მეფედ აქციეს, მაგრამ მას უფრო დიდი, ქართველი ერის წმინდა მოწამის ბედი ხედა წილად. ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის ზენიტში მყოფი ხალხის წინამძღოლი ლაჩრულად მოჰქცეს საეჭვოამოში მიმავალ გზაზე.

იმ დღიდან მოყოლებული, რუსეთის პოლიცია დემონურად ურევს მკვლელის ცვაღს. მაგრამ ევეი არ შეიძლება: დღევანდელი ჩეკა და კავება იმ ოხრანის მკვიდრი ნათესავებია, რომელმაც დიდი ილიას მკვლელი შეაპარადა. და როცა დიდ წინაპართა შორის აჩრდილად ქცეული მისი ძვირფასი სახე გამოგვეცხადება, ტყვიით ვახვრეტელი შუბლით, მაშინ ის თითქოს ცოცხლებს მოგვიწოდებს:

„მესმის, მესმის სანატრელი ხალხს ბორკილის ხმა მტვრევისა!

სიმართლის ხმა ქვეყანაა ჰქუხს დასათრგუნად მონობისა.

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიგზნებს იმედს გულში..

ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში.“

წიწამურის გზაზე გასროლილმა ტყვიამ სულ სხვა შედეგი გამოიღო, ვიდრე ის რასაც ილიას მკვლელები ანგარიშობდნენ. მისი ძვირფასი ცხედრის ირგვლივ მთელი საქართველო შემოკრბა. თითქოს მის წმინდა სისხლში განიბანა, გაჯანსაღდა, ძალი და გული მოიცა ქართველობამ. ამის შემდეგ, სულ რაღაც ათი წელი გაივილის და ილიას სანუწვარ ზრახვებს ხორცი შეესხმება- საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო აღსდგება. საუბედუროდ, ამ ბედნიერმა ხანამ მხოლოდ სამი წელიწადი გასტანა, ქართველი ხალხის ბატონობა ხელახლა რუსეთის ძალადობამ დაამხო, ამჯერად ბოლშევიკური რუსეთისამ. მას შემდეგ დიდი ილიას ანდერძი კვლავ განსახორციელებელი რჩება, ხოლო თვით ილიას პიროვნება მებრძოლ საქართველოს უკვდავ სულად იქცევა, ისე, როგორც მან ეს თავის „აჩრდილში“ იწინასწარმეტყველა. „მარად და ყველგან საქართველოს თანამდევი ილიას უკვდავი სული მამულიშვილებს ყურში ჩასჩურჩულებს:

„მიიხვიდი, ჩემო მოხევე, რა ნესტრითაცა ხარ ნაჩხვლეთი, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“- სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უუცარმა ტყვიელმა ტყინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარჯო და დაიმარხა. როდემდის დმარჩეს ეგ გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!“



ის იწვევს უძლური, მთლად მიღებული და მოკლე ხანში, ივანემ სული დალია. ამ მაგალითს მინდა დავუმატო შინა თქმა: შაქარი დამელია და უშაქრო ჩაი შევსვი. აზარფეშო-ყანაწზე ხშირად შეხედებით წარწერას: „შესვი, დალიე“, რაც ტავტოლოგია (ერთი-დაიგივე სიტყვების გამეორება) არ არის, რადგანაც „სვმა“ და „ლევა“(დალევა, მილევა) არის სხვადასხვა მცნების სიტყვები.

მე **ლევანზე** და კეროდ **თერგის დალევანზე** ვაპირებ ზოგირამს თქმას. მანამდე მინდა ერთი წუთით გავჩერდე „სვმაზე“. „სვმის“ ასეთი მართლწერა დღევანდელ ქართველებს ალბათ გააკვირვებს, რადგანაც ჩვენს დროისათვის „სვმამ“ დაკარგა ასო „ვინი“ და გახდა „სმად“. ნ. მარის მიხედვით კი ზმნის ფუძე „სვ“ ანუ „სუ“ წყალსა ნიშნავს და მაშასადამე „სვმის“ მცნებაში მნიშვნელოვანია. და მართლაც, დღევანდელი ქართველი მიუხედავად „უვინო“ სმისა, მაინც სიმართლიანად იტყვის: **ვსვამ, შევსვი** და სხვა. ამ „სვმის“ სინოტივე საგრძნობია თუ წვიმაში პერანგი დაგისველა - **სველია**.

„ლევას“ მნიშვნელობა, იმედია, უკვე ზემოთქმულიდან გამოირკვა. ლევა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს კლებას(მოკლება, დალება) და მერე აგრეთვე მოშორებას, დახარჯვას ან დაკარგვას. ფული დამელია-დახარჯე და დამაკლდა. სვმა თითქოს შეედრება ჩასუნთქვას და ლევა კი , პირიქით, ამოსუნთქვას. სნეულმა არ შესვა სული, არამედ ამოისუნთქა იგი, დალია, მოაშორა, დახარჯა. გვამი დარჩა სულს მოკლებული-კაცი მოკვდა. ყანწის წარწერა ნიშნავს: შესვი - დაცალე, მოაშორე სასმისს ღვინო.

ლევამ, უკანასკნელ ხანში, თუ თავისი მცნება სულ მთლად არ დაკარგა, ნამდვილად კი კარგავს. დღევანდელი თამადა არ იტყვის:„შევსვით სადღებრქლო“, არამედ: „დავლით სადღებრქლო“, ამით ის ძველ აზარფეშის წარწერას კი არ მისდევს - მას უბრალოდ და მოუფიქრებლად ჰგონია შესვა და დალევა იგივეს ნიშნავდეს,- სინონიმები არიანო. და მართლაც დღევანდელი ზოგიერთი ცრუმეცნიერი საქართველოში ამას ადასტურებს. ყველა ორენოვან ლექსიკონში „დალევა“ გადათარგმნილია „სმად“, უცხო ენაზე.

ორიოდელ წლის წინად, წიგნის ამერიკულ ბაზარზე გამოჩნდა სამტომიანი „აღმოსავლეთის ლიტერატურის ლექსიკონი“. ამის თანავარი რედაქტორი არის ლინგვისტი იაროსლავ პრუშევი და ნაწარმოები იყო დამზადებული პრაგის აღმოსავლეთის ინსტიტუტში. ლექსიკონი ჩებურიდან გადაითარგმნა ინგლისურზე და პირველად გამოქვეყნდა **1974** წელს ლონდონში, „ჯორჯ ალენ და ურტინ“ გამომცემლობის მიერ. ორი თუ სამი წლის დაგვიანებით, ნიუ იორკის „ბაზიკ ბუკს“ გამომცემლობამ იკისრა მისი გავრცელება შეერთებულ შტა-ში. თარიღი არ არის აღნიშნული, მე ლექსიკონი შევიძინე შარშანს.

ამ სამი, შედარებით თხელი წიგნის, გამომცემამ მიიღო ფინანსური დახმარება „უნესკოსავან“. თითო ტომს ჰყავს თავისი რედაქტორი და აქვს განსაკუთრებული სახელოდება; სახელდობრ: ტომი პირველი, აღმოსავლეთი აზია; ტომი მეორე, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია; ტომი მესამე, დასავლეთი აზია და ჩრდილო აფრიკა. უკანასკნელი ტომის შემადგენლობაში შედის „საბჭოთა აღმოსავლეთი“(sic) და არის აღწუსებული საბჭ. კავშირში შემავალი ერების **19** ენა. ამ სიაში არ შედიან სლავური, ბალტიური, რუსეთის ჩრდილოეთის და ჩრდილოეთ ციმბირის ენები, და ალბათ ამიტომ იქნა გამოგონილი „საბჭოთა აღმოსავლეთის“ ტერმინი.

ქართულ ლიტერატურას აქვს მიძღვნილი **38** სათაური, თავისი კვლევა-განმარტების განყოფილებით. აქიდან **35** არის ქართველი ავტორი, ხოლო დანარჩენი სამია: **ამირანი, ქართლის ცხოვრება** და **ვისრამიანი**.

ლექსიკონის შედგენაში, ჩეხოსლოვაკების გარდა, მონაწილეობა მიიღეს ბერმა სხვა ეროვნების და დაწესებულებების მეცნიერებმა. „სარდაქციო მრჩეველთა კომიტეტი შედგება **12** უმთავრესად ინგლადელ და ამერიკელ მეცნიერისაგან. მათ შორის არის დავით მარშალ ლანგი და მისი **1970** წლის შრომა „სომხეთი, აკვანი ცივილიზაციის“ არის განსაკუთრებით ნახსენები.

პრაგის ინსტიტუტი, ჩანს, გამოცდილია საბჭოურ დიპლომატიაში. კაპიტალისტურ ქვეყნების მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობაში, ის მაინც ახერხებს აცნობოს კრემლს



თავისი, სატელიტური“ ერთგულება, რომელშიც ვინ იცის მართლაც არ იყოს ჩამოთვლილი რომელიმე პანსლავური გულწრფელობაც.

ინსტიტუტი და მისი წევრი დოქტორი ვაკლავ ა. ჩერნი, რომლის კალამს ეკუთვნის უმრავლესობა შენიშვნა-განმარტების „საბჭოთა აღმოსავლეთის“ ლიტერატურათა შესახებ, დიდა ფაქტო თანაგრძობითა და პატივისცემით ეპყრობა ქართულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას. ლექსიკონი, მართალია, ხაზს უსვამს დღევანდელ ქართველ პოეტების კომუნისტობას და საბჭოთა დაწესებულებებში მათ თანამშრომლობას, ძველი ავტორების მიერ რუსული ლიტერატურის და პოეზიის თარგმნას და სხვა ამდაგვარი, მაგრამ ლექსიკონი ცდილობს აგრეთვე არ დაკარგოს თავისი მეცნიერული მიუდგომლობა და ამ მხრივ აღნიშნავს პაოლო იაშვილის თავის მოკვლას და მიხეილ ჯავახიშვილის და ტიციან ტაბიძის დახვრეტას; ლექსიკონს მოთხრობილი აქვს აღექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობა ფარნაოზ ბატონიშვილის აჯანყებაში და 1832 წლის შეთქმულებაში და სხვა. ლექსიკონს, საკვირველად, ცალკე არ ჰყავს აღწერსული ვახტანგ მეექვსე, რომელიც არის ნახსენები სხვა ავტორების მუხლებში, რამოდენიმეჯერ, და, რასაკვირველია, არც გრიგოლ რობაქიძე. ძველი მწერლობიდან აკლია ბევრი რამ და უპირველესად ყოველისა იოანე საბანიძე, მერვე საუკუნის პიველი მეოთხედის მჭერმეტყველი ოსტატი ქართული ენის. ლექსიკონზე ვერ ითქმის ის სრული იყოს და 38 სათაურში ამოწურული იყოს ქართული ლიტერატურის ისტორია. მიუხედავად ამისა, ქართული თვალსაზრისით, ლექსიკონი არის არსებითად მეცნიერული ნაშრომი, ავტორი სანდო ცნობებით 35 ავტორის შესახებ; ამ მხრით ლექსიკონი არის სასარგებლო და გამოსადეგარი სახელმძღვანელო, არამც თუ უცხოელებისათვის, არამედ ქართველისთვისაც. დღეს ამ სახელმძღვანელოს უთუთო ეკუთვნის პირველობა ინგლისურ ენაზე არსებულ ლექსიკონ-ენციკლოპედიების შორის, ქართული ლიტერატურის შესახები ცნობების საქმეში.

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ თავში ვითხოვლობთ, მომაქვს სიტყვა-სიტყვით:

„ის(ილია) არის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი „თერგდალეულის“ თაობის („ისინი ვინც შესვეს თერგის წყალი“, ე.ი. მოაზროვნე ქართველების თაობა, რომელმაც რუსეთში მიიღო განათლება, და ამისათვის გადააბაჯა თერგს, საქართველოს საზღვრის მდინარეს.“)...”

სწორედ ამ შენიშვნამ დააჩქარა ამ ჩემს ნაწერს „თერგის დალევა“ და მალაპარაკა პრავის აღმოსავლეთის ინსტიტუტის ლექსიკონზე. ილია ჭავჭავაძის შესახებ დაწერილია ვაკლავ ა. ჩერნის მიერ; თავის ბოლოში ბიბლიოგრაფიის სახით მოცემულია სამი ნაწარმოები: განდევლის თარგმანი მარჯორი ვორდროპის მიერ, 1895 წელი; ქართული პოეზიის ანთოლოგია, თარგმნილი ვენერა ურუშაძის მიერ, 1948 წ. და დავით მარშალ ლანგის „თანამედროვე საქართველოს ისტორია“, ლონდონი, 1962 წ.

დ. მ. ლანგის წიგნის, ნუ იორკის „გროგარს“ 1962 წლის გამოცემის მეასე გვერდზე ვკითხულობთ, მომაქვს სიტყვა-სიტყვით: „ამ ახალგაზრდა მოაზროვნე ქართველებს უძახდნენ თერგდალეულებს“ რაც ნიშნავს: „ისინი ვინც შესვეს თერგის წყალი“, ე.ი. გადაჭრეს თერგი რუსეთში განათლების მისაღებად“-ო. პრავის და ლონდონის ტექსტთა მსგავსება სრულებით არ ნიშნავს პლაგიატობას, განსხვავება მათ მიდგომებში საკმარისად დილია, მეტადერ ჩემს მიერ აქ არ მოტანილი ტექსტებს შორის. მსგავსება კი მაინც უთითებს საერთო წყაროებზე. ერთი წყაროთვანი აღბნო იქნებოდა ლექსიკონი, რომელმაც ინგლისურად „დალევა“ გადათარგმნა „სმად“(ღრინკ-ად). შეიძლებოდა ის ყოფილიყო ცოცხალი ქართველი, რომელი ამნაირად დაეხმარა უცხოელ მკვლევარებს.

დღევანდელ ქართ. მწერლობაში, ქრესტომატიებში და ლიტერატურის ისტორიებში „თერგდალეულის“ ეტიმოლოგიური განმარტების პოვნა შეუძლებელია; ლინგვისტური ახსნის გარეშე, თერგდალეულებზე ბევრი რამ დაიწერა. საბჭოური კლასიკური მიდგომა შემდგენიარა: „მაშინ გამოვიდა სამწერლო სარბიელზე პროგრესულ- დემოკრატიული იდეებით გამსჭვალული ახალი თაობა - თერგდალეულთა თაობა“; ანუ: „თერგდალეულობა თავისი ისტორიული მნიშვნელობით ნიშნავს ახალი იდეებისა და ახალი საზოგადოებრივი იდეების შემოტანას საქართველოში“-ო; ანუ კიდევ: „თერგდალეულებმა შემოიტანეს ჩვენში რუსეთიდან პროგრესულ-დემოკრატიული იდეები“-ო და ბევრი ამგვარი, მაგრამ ეტიმოლოგიურად ანუ ლინგვისტურად თუ რას ნიშნავს სიტყვა „თერგდალეული“, ანუ თერგის დალევა, ამაზე არსად და არსად არაფერი არ არის ნათქვამი! რით აიხსნება, ეს ერთი შეხედვით საკვირველი, ამბავი?



მათვის, ვინც თვალურს ადევნებს კრემლში დაწვრილებით შემუშავებულ სისტემატიურ და მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ(ამაში გონის რეცხვაც შედის) გენოსიდობის მეთოდებს, როგორც თერგდალეულის შემთხვევაში, ისე ათას სხვა დამახინჯებაში მოულოდნელად აღმოვაჩინებენ კვირველი არაფერი არ არის.*

თერგდალეული იყო ის ვისაც ჰქონდა მიტოვებული საქართველოს საზღვარზე მდინარე თერგი და ამ გზით ნამყოფი იყო რუსეთში.

„ვინ სად წავიდა, ვინ რად მოვიდა“ იტყოდა თერგდალეულებზე გაჯაგრებული გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც შვილები „ხარაბუხად“ ნათლავდნენ. როცა დადგა დრო და უკვე დროულმა შვილებმა ღრმა პატივით დააფასეს მამები, მაშინ ილიამ გრიგოლის ხოტბაში განსაკუთრებით აღნიშნა მისი: „ქართული სიტყვის ასამაღლებელი ხმა“.

დღეს, ცრუმეცნიერს უკვე მართლაც არ ესმის ეს „ქართული სიტყვა“, ან კი, რაც უფრო მოსალოდნელია, დავალებით და ბოროტი ზრახვით აქემინებს და ამახინჯებს მას. ურჯულო ჰედონისტს და გენოსიდობის შეგნებულ თუ შეუგნებელ აგენტს რა ენაღვლება დედაენის სიწმიხდე. ის მკითხველს არ მოაგონებს თერგდალეულის სიტყვის შინაარსს, რომელიც უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს საქართველოს და რუსეთს შორის საზღვრის არსებობას და მასთანადმე განსხვავებასაც. და ამიტომაც, არსებული საზღვრის და განსხვავების დასამალავად, ცრუმეცნიერი უცხოელ მკვლევარს იტყვის თერგდალეულობა თერგის წყლის შექმნის ნიშნავდეს, თითქოს წყლის შესმას შეუძლია თავისთავად რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდეს, ანუ მისაღწევი და „პროგრესიული“ რაიმე იყოს! მოსახლეობა სტუდენტ-წმინდის და გერგეთის მთელ თავის სიცოცხლეს თერგის წყალს სვამს, და რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ამას?

ტყუილს თურმე, რაც არ უნდა ვერაგულად შეთხზული არ იყოს იგი, მაინც მოკლე ფეხები აქვს: თუმცა ვ.ა. ჩერნიმ და დ.მ. ლანგმა თერგის წყლის შესვმა დაიჯერეს, მაგრამ ამით ისინი არ დაკმაყოფილდნენ და ორივე თავ-თავისი გზით მივიდა დასკვნამდე: თერგის დასაღვება უნდა ნიშნავდეს საქართველოს საზღვრის მდინარის, თერგის გადალახვას რუსეთში წასასვლელად. ეს ამბავი ორმა ევროპულმა მკვლევარმა კარგად გაიგო და ამით მათ გამოიჩინეს ტემშარიც მეცნიერება და გონების დიდი გამჭვიარობა.

**გიორგი ჯაყელი
გაზაფხული. 1978.**

(რედაქციის შენიშვნა: *ეს აღრევა უფრო გაუგებრობით და დაუქვივებლობით უნდა იყოს გამოწვეული, ვიდრე წინასწარ განზრახული ბოროტებით, და ამას ხელს უნდა უწყობდეს, როგორც სამართლიანად აღნიშნავს წერილის ავტორი, სიტყვა „დალავეს“ მიერ მისი ზოგადი შინაარსის შეცვლა. მით უფრო საჭიროა ბატონ გიორგი ჯაყელის მიითება.)

ქქქ \$\$\$ \$\$\$ \$\$\$ \$\$\$ \$\$\$

ს ა მ ა დ ლ ო ბ ე ჲ

მე საქართველოს მაღლობელი ვარ, რომ ებრაელი კვლავ ებრაელობს, არ აუღია ხელი რწმენაზე და ისევ მოშეს სჯულზე ლოცულობს. მზით ავსებულა სული და გული ვითარც ავეისტოს ნათის თაყარა, გვეძახი... შენსკენ მოვეშურებით, რომ გასაზრდოვით წყარო ანჯარა. რაც რამ სიკეთე სულს დამაჩნია სულდიდი შოთას ტკბილმა ქართულმა, მსურს შენ მოგიძღვნა სულ სასიკეთოდ, შენის სიცოცხლით გულაღზრუნებულმა. მსურს გავლო ხიდი შე მეგობრობის ამ ორი ქვეყნის მტკიცე კავშირად, მით გადვიხადო სამადლობელი ერთი ათასად, მხოლოდ კეთილად.

მე მსურს მივუზღო მაღლისთვის მაღლი ღობილთ და ძმობილთ სიყვარულისა, რომ ებრაელი იყოს სიმბოლო კაცთმოყვარების, სათნოების. მსურს დამიხსომოს ყველამ, ვისთანაც მქონია მტრე რამ შესახები, როგორც სიკეთის, წრფელის გრძნობების შთამოგონებელი მასწავლებელი. მე მინდა ვთვსო მხოლოდ სიკეთე, ყველა ერს შორის ერთობი გაგება, მით მოვსბო ძირში ნება ბოროტი, ჩემი სისხლ-ხორცის მიმართ გლახნება. თუმცა რას ვამბობ? ძალიმის კი განა, რომ ცალი ხელით შემოვკრა ტაში? არა! მომეით თქვენი ხელებიც, ქვეყნად მშვიდობას დავუღდათ ტახტი!



შეძლებულია საბჭოთა საქართველოში ეროვნული მნიშვნელობის რამე გაკეთდეს ინციტივია და ორგანიზატორობა ბრენცივის პარტიის მართვლობას არ ეკუთვნის. პარტია ეპატრონება ცოცხალ ადამიანებს ფიზიკურად და სულიერად, იგივე პარტია თავის პარტიულ ინტერესებისათვის იყენებს მიცვალებულთა სახელს და ავტორიტეტს. ასე იყო წარსულში შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, იაკობ გოგებაშვილის და სხვა სახელოვან ქართველ წინაპრების მიმართ, ასევე გამოიყენეს წელს დიდი ილიას უზარმაზარი გავლენა ქართველ ხალხზე. კრემლის პროკონსულებმა თუ რატომ წელს, დაბადებიდან **141** წლისთაზე, გადაწყვიტეს დიდი ილიას საიუბილეო ზეიმი, ეს მათი საიდუმლოებაა. სადიტებელია, რომ წელს განსაკუთრებით შეჩვეულია კომპარტიის გავლენა ქართველ ხალხში და პოლიციისა და ჯარის გარდა შენიღბული პროპაგანდაც საქირია მის გასამაგრებლად. რუსების ბრმა სიყვარული, ილიას პიროვნების ვაიგვიება რუსული ხიშტებით გასაბჭოებულ საქართველოს დღევანდელობასთან, ასეთია ლიტბოტივი ოფიციალური წარმომადგენლების, სწორედ ამ მიზანს უკასურებს საქ რ უმაღლესი საბჭოს და ილიას **140** წლისთავის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის პ. გილაშვილის საჯარო სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა თბილისში, **29** მაისს, დღესარმონის თეატრის შენობაში გამართულ დიდ მიტინგზე, სადაც ქართველების გარდა ესწრებოდა საბჭ. კავშირში შემავალ რესპუბლიკების ხალხთა ოფიციალური დელეგაციები და ზოგიერთი უცხო ქვეყნის წარმომადგენელიც:

„ილიამ ქართველებს უანდერძა ემეგობრათ ყველა ხალხთან, ზიარებოდნენ რუსი ხალხის დიდ სულიერ საგანძირს, შთაგონების წყაროდ ჰქონოდათ მისი დიდი მამულშივილების თავისუფლებისმოყვარული იდეები. ახლა ყოველივე რასაც დიდი ილია ნატრობდა. მისმა საყვარელმა ხალხმა, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ქმნის კაცობრიობის ნათელ მომავალს, ისეთ უმაგალითო წარმატებებს მიაღწია, დღევანდელი საქართველო რომ ილიას ენახა, საუკეთესო, ყველაზე შთაგონებულ ლექსებს უძღვინდა ოქტომბრის მზის ქვეშ აყვავებულ საყვარელ სამშობლოს.“

გილაშვილის თანამდებობის კაცისაგან საბჭოთა რეჟიმის ზოტბა გასაკვირი არ არის, ხოლო აბრუნდები, ტყუილი და ცილისწამება საბჭოთა სისტემის მეორე ბუნებაა, მითუმეტეს როცა იციან საქმე ეხება მიცვალებულს, მაშინ ჰგონით თავი ქედში აქვთ. დიას, **70** წლის წინად მოკლული ილია, დღეს გილაშვილებს ცილისწამებისათვის ვეღარ უკივიებს, მაგრამ განა ბევრი იქნება ისეთი უტოლინარი და გულუბრყვილო ქართველი რომელიც ილიაზე ასეთ ზღაპრებს დაიჯერებს?

სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ილიას საიუბილეო ზეიმი. საქართველოს ბევრი ოფიციალური დელეგაცია ეწვია ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, ბევრი რუსული „რეჟიცი“ წარმოითქვა. თუ მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები ცილობდნენ ილიას ზეიმი რეჟიმის ზეიმად გადაექციათ, სამაგიეროდ ქართულმა მოწინავე ინტელიგენციამ ეს დღეები გამოიყენა დიდი ილიას ცხოვრების, მოღვაწეობის და შემოქმედების ღირსეულ და რიგიან გარჩევა-გაგების საშუალებად, ილიას ავტორიტეტის კიდევ უფრო ასამაღლებლად. ორატორებიდან და ავტორებიდან, ჩვენს ხელთ არსებულ მასალების მიხედვით, გამოირჩეოდნენ აკადემიკოსები ალექსანდრე ბარამიძე, გიორგი მელიქიშვილი, არნიოდ ჩიქობავა, გიორგი ჯიბლაძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ბოცვაძე და ვანო შადური. მათი წერილები გაზეთ „კომუნისტში“ და ჟურნალ „მნათობში“ ღრმა ერუდიციის და ინტელექტუალური პატონისების უტყუარ ნიშანს ატარებენ.

გრიგოლ აბაშიძე მხოლოდ ერთ ადგილას ცოდავს როცა წერს: „დღეს როცა დიდი მწერლის ბევრი ნატრა და ოცნება განხორციელებულია“, მაგრამ მისი თანამდებობის კაცს ალბათ სხვაგვარად არ შეეძლო.

„მნათობის“ მეხუთე ნომერში დაბეჭდილია პედაგოგიურ მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის აკადემიკოსის, საქ. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის გიორგი ჯიბლაძის წერილი სათაურით „დიდი ილია ქვეყანაზე“. გ ჯიბლაძე ქართული კლასიკური ლიტერატურის იშვიათი მცოდნე და შემდგამელია. თუმცა მისი გარჩევა საბჭოთა პერიოდის ქართველი მწერლებისა პარტიზანობას მოკლებული არ არის(მაგალითად მიხეილ ჯავახიშვილზე), მაინც დასაახანია რომ ის ამ თავის ნამდვილ მოწოდებას არ ახმარა მთელ

თავის სამუშაო დროს, ილიას მხატვრული თხზულებების ჯიბდაძისეულ გარჩევაზე მოწონების მეტი არაფერი ითქმის, მაგრამ ჩვენ ვერ მოვეუწონებთ იმ ადგილს, სადაც ის სარგებლობს იმ ცნობილი დავით რომელსაც ადგილი ჰქონდა ილია ქაეკავაძესა და ნოე ყორღანისა შორის, რათა პოლიტიკური ანგარიში გაუსწოროს, დამდაბლ-დაამცროს მერვე. დავა ილიასა და ნ. ყორღანისა შორის უნდა განიხილოს როგორც ორი თაობის, მამების და შვილების დავა, იცე, როგორც ადგილი ჰქონდა გრიგოლ ორბელიანისა და ახალგაზრდა ილია ქაეკავაძის შორის. როგორც ცნობილია, თვით ილია ქაეკავაძემ, უკვე გამოცდილმა მოღვაწემ, ქებით მოიხსენია მისი ყოფილი მოწინააღმდეგის ღვაწლი და დამსახურება მამულის წინაშე, ხოლო ქართველი ხალხის ისტორიამ არცერთი მათგანი არ გაწირა, ორივე მის საამაყო შვილად შერიცხა. ჩვენ სრული საფუძველი ვვაქვს ვიფიქროთ, რომ საქართველოს ისტორია ასევე შეარაგებს ილიასა და ნენესაც.

ქემარიალად მოსაწონია აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის მოკლე მაგრამ მრავლისმეტყველი წერილი „ეროვნული თავისუფლების მდროშე“, სადაც სხვათაშორის ნათქვამია: „მოღვაწეობის დასაწყისში ილიას და მისი მიმდევრების მსოფლმხედველობაში სოციალური მოტივები დომინირებდა, ბატონყმური წყობილების მოსპობა პირველი რიგის ამოცანად ისახებოდა მთელი განმთავისუფლებელი მოძრაობის წინაშე. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ ვითარება არსებითად შეიცვალა. ილიას და მისი მიმდევარს თერგდალეულების უპირველესი საზრუნავად ეროვნული საკითხი გახდა მთელ რუსეთში, ისევე როგორც მასში შემავალ საქართველოში, მის პარალელურად არსებობდა განმთავისუფლებელი მოძრაობის მეორე-რევოლუციური ფრთა (ჯერ რევოლუციური ხალხოსნების და მერე რევოლუციური სოციალ-დემოკრატების სახით), რომლისთვისაც, პირიქით, სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა გახდა უპირველესი ამოცანა. პირველი ფრთის აზრით , ეროვნული საკითხის გადაწყვეტით სოციალურ საკითხს ადვილად მოველდებოდა, მეორე კი, პირიქით, მიაჩნდათ, რომ სოციალური თავისუფლების მოპოვებას ავტომატურად მოჰყვებოდა ეროვნულ თავისუფლების მოპოვებაც“.

მართალია, თერგდალეულების ჯგუფი და ილია უარყოფდნენ ძალმომრეობის, რევოლუციის გზას, როგორც ეროვნული იხე სოციალური იდეალების მისაღწევად(ამიტომ შეცდომაა, როცა მათ რევოლუციონერ-დემოკრატებს უწოდებენ), მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიმბაითი ეპყრობოდნენ რევოლუციონერთა საქმიანობას, დიდად აფასებდნენ მათს თავგანწირვას. რევოლუციურ ფრთასთან უთანხმოება ძირითადად ტაქტიკური ხასიათისა იყო: თერგდალეულების აზრით ძალადობის გზა არ არის ეფექტიანი, იგი თიშავს ეროვნულ ძალებს. რევოლუციური ფრთის წარმომადგენლები კი, პირიქით, შიშობდნენ, რომ „ეროვნული ზავის“ და ერის შიგნით შრდებათა შერიგების ქადაგება ძირს უთხრდა იმპერიის დამორჩილებული მასების ერთიან ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მართალია, თერგდალეულები წინა პლანზე ეროვნულ საკითხზე აყენებდნენ და სოციალურ საკითხს ერთგვარად უგულვებლყოფდნენ, მაგრამ რევოლუციონერთა დიდი ნაწილი, სამაგიეროდ, ხშირად ეროვნულ საკითხს უგულვებლყოფდა...“ (იხ. „კომუნისტი“ 28.5.78)

ჩვენ მთლიანად მოვიტანთ დამსახურებული მეცნიერის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას „ენის ტრფიალი“-ს, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ იმავე ნომერში დაიბეჭდა და, რომელიც, ჩვენი შეფასებით, იშვიათია დიდებულ ილიას რთული პიროვნების გასაგებად.

ენის ტრფიალი

განუზომელია ილია ქაეკავაძის ღვაწლი ქართული მწერლობისა და ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში.

„სალიტერატურო ენა მოგვაგონებს ყინულს, რომელსაც მდინარის ზედაპირი შეუტრავს, დიალექტები კი ის მდინარეა, რომელიც ყინულს ქვეშ გრძობდება, ეს მდინარეა მდინარის მოყინულ ზედაპირს გაარღვევს, რომ თავისუფალი დენა ახალგაქმლს“-, წერდა გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ერთი უცხოელი ენათმეცნიერი. ამ ყინულს მოგვაგონებდა სამი სტილის თეორია, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში გაბატონდა. ეს თეორია ხელოვნურ ნორმებს თხზავდა, მაღალფარდვან წიგნურ მეტყველებას ეტანებოდა, არც ხალხის ცოცხალი ქართული მეტყველების მნიშვნელობას ცნობდა და არც სალიტერატურო ქართული ენის დიდ ისტორიულ ტრადიციას უწყევდა ანგარიშს. ხელოვნური ნორმები, თქმა არ უნდა, წიგნიერების გავრცელებასაც აბრკოლებდა.



ილია ჭავჭავაძემ მოაცილა ქართულ სალიტერატურო ენას ხელოვნური ნორმების რეგულაცილი ზედაპირი, აღადგინა ჭავჭავაძის სალიტერატურო ქართული ენის მასაზროლებელ - ქართულ-კახურ ხალხურ მეტყველებასთან, აღადგინა ჭავჭავაძის დავით გურამიშვილისა და საბა ორბელიანის შესანიშნავ ქართულ ენასთან. ქართული სალიტერატურო ენის შენეობრივი განვითარების გზა გამართლდა, მას შემდგომი გამიღრმავა-დახვეწის პერსპექტივები გაეშალა. ილიას ფორმულა „ხალხია ენის შემოქმედი“ (და არა რიტორიკა „ანბანთ თეორეტიკა“) მეცნიერულად სწორი იყო მაშინ (1862 წ.), იგი ძალაშია დღესაც: ენა კვდება რაც უნდა დიდი მწერლობა ჰქონდეს მას, თუ ხალხმა თავის ენაზე ხელი აიღო; ენა ცოცხლობს, სანამ ამ ენაზე ლაპარაკობენ.

ილია ჭავჭავაძემ ცხადყო, რა ძალაც შესწევს მწერლის შემოქმედებას, როცა ის ფლობს ხალხის ენის ამოუწურავ სიმდიდრეს. ნიმუშად იკვარებდა „ოთარანთ ქერივი“, ახალი ქართული კლასიკური ლიტერატურის ეს შედეგები (დისანანია, რომ ესა და რიგი სხვა თხზულება ჩვენს კლასიკოსების მასობრივი ტირაჟით იშვიათად გამოდის: ილიას, აყაყის, ვეფხის თხზულებათა გარეშე ახალგაზრდა ვერ დაეუფლება სალიტერატურო ქართულს).

პროგრესული მოაზროვნე, რევოლუციონერ-დემოკრატი ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოდ იღვა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში (საქმარისია მოვიგონოთ მისი კამათი იანოვსკის სასწავლო გეგმის გამო, ანდა პასუხი, რომელიც მან გასცა კატკოვის შეზღობას). მაგრამ ილია ჭავჭავაძეს არა მხოლოდ თავისი „ერის წყლული უჩნდა წყლულად“, მას გულსა წყავდა ყველა ერის ტანჯვა, ის ვერ ურიგდებოდა ეროვნულ უსამართლობას. სულ ერთია ვის სჭირდა ეს უსამართლობა, ებრაელი იქნებოდა ის თუ სომეხი. ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმი კი არ გამოირიცხავს ინტერნაციონალიზმს, არამედ გულისხმობს მას: ილია ჭავჭავაძის აღშფოთებას იწვევს ევროპის ქვეყნების უმოქმედობა ოსმალეთის მიმართ, სადაც სომხებს აწიოკებენ: „სად არის ის კაცთმოყვარეობა, რომელზედაც ასე უყვართ დაბეჯინება პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს? ნუთუ ერთი ერი - სომეხები - მეორე - ოსმალოს - უნდა მიეცეს შესაქმელად, აქაო-და თქვენ ცოტანი ხართ და ჩვენ - ბევრნი, და განათლებული ვეროპა კი უყურებდეს ამ უსამართლობას...“

ილია ჭავჭავაძე ისტორიულ მოვლენათა არსში ღრმად იხედებოდა. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ იგი (1899 წ.) წერდა: „...სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცი წლის წინათ ერთმანეთის ასეთი თავდაწუნება! ერთმანეთში არ ვირჩეოდით და თუმცა სხვადასხვა მოდემოსანი და სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძალბობა და ქართველობით სომხობისა ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ“ (ხაზი ჩვენია - ა.ჩ.). ერთ ბედს ქვეშ იყო ეს ორი ხალხი წარსულშიც: „ჩვენ კარვად ვიცით, - წერს ილია ჭავჭავაძე, - რომ წინანდელ საქართველოს უძღურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაემხო სომხეთი - ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთსა და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით...“

ილია ჭავჭავაძე ზოგი სომეხი სპეციალისტის უმართებულო აზრს ცხარედ ეკამათება; მაგრამ ამ შემთხვევაშიც ილია სომეხი და ქათველი ხალხების ისტორიული და თანამედროვე ინტერესების ერთობას ქადაგებდა.

ილიას ნათქვამად თვლიან „ზარმაცს მეძახიან, მაგრამ, თუ გაკირდა, დატვირთულ ურემში შევებმი და მუხლებზე ჩოჩოთი მყინვარწვერზე აეიტანო!“ ამ სიტყვებშია მოცემული ილია ჭავჭავაძის ქედონიერი პიროვნების არსი და თავისებურებაც იმ ხალხისა, რომელსაც თავდადებით ემსახურა დიდი მწერალი და მოქალაქე, პროგრესული მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე.

არნოლდ ჩიქობავა

„ივერია“-ს სათაურით იოსებ ბოცვაძე მართებულად ანალიზებს ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ როლსა და მნიშვნელობას ჰეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართული პრესისა და საერთო ქართული აზროვნების განვითარების საქმეში: „...დაარსების პირველი დღიდანვე, ილიამ, როგორც დიდმა განმანათლებელმა, „ივერიას“ გარკვეული მიმართულება მისცა, იგი მშრომელი ხალხის სამსახურში ჩააყენა და ერის პროგრესისა და განახლების ფუნქცია დააქისრა. ვერ დავსახელებთ „ივერიის“ ვერც ერთ ნომერს, რომელშიც ნათლად არ იგრძნობოდეს სამშობლოს უანგარო სიყვარული და ხალხის, საზოგადოების, პიროვნების უღრმესი პატივისცემა; მაგრამ ამავე დროს „ივერია“ უაღრესად პრინცი-



პული პერიოდული ორგანო იყო, რომელიც, ეთიკური ნორმების დაურღვევლად, სასტიკად ამართავდა ყველა იმთა, ვისაც სამშობლოს სიყვარულით არ უძგერდა გული. ან კერძო პირისა და საზოგადოებისა დედაქანონად უნდა ჰქონდნენ ყოველ რიგისა და მართებულს ეტრანალს თუ გაზვისს. - იუწყებოდა „ივერია“. - ...ქეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში გულახდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ შეუვინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა“. ამ მრწავლისათვის „ივერიას“ არასოდეს უღალატია და ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ მან უდიდესი სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა ფართო მეტყველ საზოგადოებაში.

...დემოკრატიულ - საგანმანათლებლო იდეებით განმსჭვალული იოია და მისი „ივერია“ გასაოცარი ოსტატობით ართმევდნენ თავს ამ რთულ ამოცანას - „ივერია“ ერთხარად საინტერესო და მიმზიდველი იყო როგორც „ანანთმწყურვალთთვის“, ისე განსწავლულ და გამეცნიერებულ პირთათვის. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა ილიამ იმითაც მოახერხა, რომ „ივერიას“ გარშემო თავი მოუყარა გულმხურვალე მამულიშვილთა და მწერალ-პუბლიცისტთა საუკეთესო ნაწილი, როგორც იყვნენ აკაცი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა ფშაველა, პ. უმიკაშვილი, დ. მიქელაძე, ალ. სარაჯიშვილი, ს. მაგლობლიშვილი, გრიგოლ და აღექსანდრე ყიფშიძეები და სხვანი, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართული საზოგადოებრივი აზრისა და პერიოდული პრესის განვითარების საქმეს. არ დარჩენილა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი აქტუალური და მტკიცეული საკითხი, რომლის შესახებაც ივერიას“ თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას. იგი თანაბარი სიძლიერით აწუქებდა ისტორიისა და გეოგრაფიის, ფსიქოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ეთიკისა და რელიგიის, ენათმეცნიერებისა და ეკონომიკის, სახალხო განათლებისა და იურიისპრუდენციის პრობლემებს და ეროვნულგანმთავისუფლებელი დროშის ქვეშ რაზმავდა ქართველ საზოგადოებას. ფასდაუდებელი ამაგი დასდო „ივერიამ“ მხარჯარული ლიტერატურის განვითარებას, ქართულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის გაბატონებას „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა და ქართული მეტყველება პირველად აქედან გაეცნო ქართული კლასიკური ლიტერატურის მრავალ ხელისხლსაკვამანებელ მარგალიტს. დიდა ივერიის როლი ქართული სალიტერატურო ენის და სავაზეთო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების საქმეშიც. ვაზეთის ენა და სტილი „ივერიასთან“ ერთად ყალიბდებოდა საქართველოში...“ „ვაზეთი „ივერია“ ცოცხალი, ენციკლოპედიური ხასიათის მებრძოლი ორგანო იყო, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ ხალხს. იგი ილია ჭავჭავაძის ნათელი ვინების და გმირული შემართების ერთობლივ ნათელი სვეტია და ასეც დარჩება ქართული პერიოდული პრესის და აზროვნების ისტორიაში.“

უცხოელი ავტორებიდან, რომლებმაც წერილები მიუძღვნეს ილიას, განსაკუთრებით გამოირჩევა **მკრტიჩ სარკისიანი**, რომელშიც იგრძნობა ილია ჭავჭავაძის საფუძვლიანი ცოდნა და გულწრფელი პატივისცემა. ილიას პიროვნების მიღმა, მკრტიჩ სარკისიანი დიდოსტატურად განაღიდებს ქართულ და სომეხ ხალხთა გულითად მეგობრობას:

...ხალხის ხსოვნა მხოლოდ ისტორიული ამბებისა და დოკუმენტების ხსოვნა როდია. ეს არის ხსოვნა გულისა და სისხლისა, რომელიც თაობიდან თაობას, საუკუნიდან საუკუნეს, ათასწლეულიდან ათასწლეულს გადაეცემა. იგი ადასტურებს, რომ არასოდეს და არაფრით არ შებღალულა სომეხ და ქართველ ხალხთა მეგობრობა, რომ არასოდეს არ დამცარალა მოძმეთა გულის მეზნებარება, არ დაჩრდილულა მათი წმინდა ურთიერთობა.

უცხოვარი დროიდან - პაოსისა და ქართლოსის ლეგენდების შექმნიდან ავარაირის ბრძოლამდე, ტიგრან დიდიდან და თამარ მეფიდან, დიდი გამარჯვებების დღეებშიც, გულის-მომკველ დამარცხებათა დღეებშიც, აღზევებისა და დაცემის დღეებშიც ჩვენ მარად ერთად ვიყავით და მხარბი ვედექით ერთმანეთს. მეგობარი მეგობართან ხსნას და სავანეს პოულობდა, მეგობარს ქრილობას მოუშუშებდა და ანუგეშებდა ბედუქუდმართ ეამს...“

...ჩვენი ერების ცხოვრებისა და ბრძოლის ავტორიტეტული საბუთი და დასტურია ძველსომხური ხელნაწერები და ქართლის ცხოვრება, რომლებიც დიხაბც კეთის სასწავლებელია და ახალ თაობათა აღზრდისათვის ფრიად მნიშვნელოვანი. დროით ფერგადასული ფურცლები გვასწავლის მეგობრობის მეცნიერებას, გვიამბობს, რომ უცხო და ურჯულ ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში, ყველაზე საბედისწერი დღეებში, ყველაზე ნაცადი, ყველაზე ბასრი იარაღი იყო ჩვენი მეგობრობა. ამ მეგობრობით ეცავდით თავს მტრებისაგან, ამ



მეგობრობით ვიცავდით ჩვენს სახლ-კარსა და ნამუსს, სიმღერასა და კულტურას, თავისუფლებას."

...ოდეს ჩვენ ვზეიომობ ქართველი ერის დიდი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის იუბილეს. მაშ მოდით, მაღლიერებით თაყვანი ვცეთ დიდ მწერალს, რომლის იუბილემაც საშუალება მოგვცა კვლავ რაინდულად ჩამოვართვათ ხელი ჩვენს ქართველ მეგობრებს და კოლეგებს, გავიხსენოთ მეგობრობის გრძელი გზა, რომელიც ერთად გამოვიარეთ, გავიხსენოთ მეგობრობა, რომელსაც ვაჭირებთა ვერ აშინებს, მეგობრობა, რომელიც აკურთხებს და აცისკროვნებს ამ გზას."

მისასალმებელია სომეხ მკრტიჩ სარქისიანის მეგობრობის ეს ამალღებული სიტყვები. რაოდენ სასარგებლო იქნება ორივე ჩვენი (ქართველი და სომეხი) ერისათვის, თუ ის გამოხატავს დღევანდელი თაობის სომეხების უმრავლესობის გულწრფელ აზრებსა და მისწრაფებებს.

ილიას ზოგიერთი ეპითეტის შესახებ

თურნალ „სამშობლო“ №12-ში მოთავსებული წერილი „ილიას დღეები მოსკოვში“ ასე იწყება: „ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა უდიდესი პატივი მიაგო დიდ ქართველ მამულიშვილს, მშობელი ხალხის ფეხებისა და მისწრაფებების გამოხატველს, **მგზნებარე ინტერნაციონალისტს** ილია ჭავჭავაძეს...“

ამ ნაწყვეტში ნათლად, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ნათქვამია, რომ „სამშობლოს“ სამშობლოს დედაქალაქი თბილისი კი არ არის, არამედ მოსკოვი. ჩვენ ამაში წინადაც დარწმუნებული ვიყავით, მაგრამ ვადმოხევეწილობაში თუ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, ამ განცხადების შემდეგ ულოდინარობა უპატიებელი იქნება.

მოტანლი ციტატიდან მეორე საგულისხმო ამბავია ის, რომ თურმე ილია ჭავჭავაძე ყოფილა „მგზნებარე ინტერნაციონალისტი“. მარტო „სამშობლო“, რომ ჩადიოდეს ასეთ აზრუნდებს და აღრევებს, მაშინ იქნებ თავის გამოდება არ ღირდა, მაგრამ სამწუხაროდ ამ უაზრობას სხევიც ბევრი იმეორებს საქართველოში, და მათ შორის არაერთი გამოჩენილი მცენერიც, როგორც აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ბრძანდება. ამიტომ მე იძულებული ვარ მათ მოვავიონო ამ სიტყვის ასრი და მნიშვნელობა.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ „ინტერნაციონალიზმი“ და „ინტერნაციონალისტი“ სუფთა პოლიტიკური სიტყვებია და მათში იგულისხმება მხოლოდ ერთი გარკვეული აზრი.

ფრანგულ განმარტებით ლექსიკონებში ამ სიტყვების განმარტება ასეთია:

„ინტერნაციონალიზმი არის დოქტრინა, რომლის მიხედვით ეროვნული ინტერესები უნდა დაცემდებარონ ზეეროვნულ(საეკოპრიო) საერთო ინტერესებს. ინტერნაციონალისტი კი არის ის ვისაც სწამს ეს იდეა და ვინც იბრძვის მის განსახორციელებად. ილიას ნაწარმოებებს და პრაქტიკულ მოღვაწეობას, რომ არაფერი საერთო არ აქვს ამ სიტყვების ფრანგულ განმარტებასთან, უდავო უნდა იყოს ფეხისაათვის ვინც მას იცნობს და ვისაც საღი აზროვნება შერჩენია.

ეხლა განვიხილოთ ამ სიტყვების თვით საბჭოური განმარტება. ქართული განმარტებით ლექსიკონი, რომლის საერთო რედაქცია სწორედ აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ეკუთვნის, სიტყვა-სიტყვით შემდეგს ამბობს:

„**ინტერნაციონალიზმი**(ინტერნაციონალიზმისა) პოლიტიკური. მშრომელთა საერთაშორისო სლიდარობა(ყველა ქვეყნის ექსპლოატორული კლასების ხელისუფლების დასამხობად და კომუნიზმის დასამყარებლად); ბრძოლა კოსმოპოლიტიზმის, შოვინიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ.“ ამის ნათელსაყოფად მოტანილია სტალინის გამონათქვამი:

„ინტერნაციონალიზმი ის ძირითადი იდეაა, რომლითაც გამსქვალულია კომკავშირის მუშაობა.“

„**ინტერნაციონალისტი**(ინტერნაციონალისტისა) ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე მდგომი, ინტერნაციონალიზმის იდეების დამცელი“ და ამ სიტყვის შინაარსის ნათელსაყოფად კვლავ მოტანილია სტალინის ნათქვამი: „ინტერნაციონალისტს ის არის, ვინც უსიტყვოდ, უყოყმანოდ, პირობების წამოუყენებლად მზად არის დაიცვას სსრ კავშირი იმიტომ, რომ სსრ კავშირი არის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზა, ხოლო ამ რევოლუციური მოძრაობის დაცვა, წინ წაწევა შეუძლებელია, თუ სსრ კავშირი არ დლიცავი“

ცხადია, როცა „სამშობლო“ და საბჭოთა კავშირის სხვა ოფიციალური წარმომადგენლები იძახიან „ილია ჭავჭავაძე მგზნებარე ინტერნაციონალისტი იყო“ ან „ილიას პატრიოტიზმი ინტერნაციონალიზმს გულისხმობს“, ისინი გულისხმობენ მათ განმარტებით ლექსიკონში: „პატრიოტიზმი აზრებს და ნუთუ ვასაკვირი არ არის, რომ გონებრივად საღ ადამიანებს აზრად მოღიბოთ ამტკიცონ: „მგზავრის წერილების“ და „ოთარაანთ ქვერვის“ ავტორი, საქართველოს ეროვნული განთავისუფლების მეთაური, ქართველი ერის ერთობის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, წოდებათა შერიგების, მათ შორის ჩატეხილი ხიდის გამთელების მოციქული ილია ჭავჭავაძე მგზნებარე ინტერნაციონალისტი იყო. დიახ, ესაკვირველი და უცნაური და ამავე დროს ჩამაფიქრებელი. რისთვის და რად სჭირდებათ კრემლის ფსიქოლოგის სტრატეგებს ქართველების სახელოვან წინაპრის ასე უთითებო საწინააღმდეგო თვისებებით შემგობა? ხომ ვერ ვიტყვით, რომ ეს მათ უტოლინარობით ან უგზურობით მოდიოდეთ? უფრო დასაჯერებელია, რომ ამით ისინი ცდილობენ ილიას პიროვნება დაცლონ მის ქვეშაირტ სუბსტანციისაგან. ისე, როგორც უარყოფითი და დადებითი ელექტრობის თავმოყრა იწვევს დაცლას და განეიტრალებას, ასევე ილიას პიროვნების დატვირთვამ მოპირდაპირე ეპითეტებით: „პატრიოტი“, „ინტერნაციონალისტი“, „დემოკრატი“ და „რევოლუციონერი“, „საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ბელადი“ და „რუსოფილ-ინტერნაციონალისტი“ უნდა გამოიწვიოს ღიდი ილიას პოლიტიკური პიროვნების გაბათილება, განეიტრალება, გააარფერება. გვიკვირს, რომ ასეთ უხეშ ანკესზე ასე იოლად გეგბიან ქართული ინტელიგენციის ბევრი გამოჩენილი წარმომადგენლები.

დაბოლოს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ, როცა ილიას პიროვნებას ვიცავ შეუფერებელი ეპითეტებისაგან, მხედველობაში მაქვს მხოლოდ ისტორიული ქვეშაირტების დაცვა ხოლო, რაც შეეხება „საბჭოთა ინტერნაციონალიზმს“, მისი სიაკვარე (უფრო სწორია ვთქვათ სიავე) შეუძლებელია ამ პატარა წერალში განიხილოს და არც ილიას იუბილეს შეეფერება.

მ. გ.

✝ და ვ ი თ (და თ ი კ ო) უ რ ა ტ ა ძ ე

ყველა აქ დამსწრე კარგად იცნობდა და აფასებდა ჩვენს დათაკოს, ყველას ბული დაგვწყვიტა მისმა ასე უცბად და მოულოდნელად დაშორებამ. მე მერგო ამ მძიმე სიტყვის თქმა, რადგან ჩვენ ათეული წლების მეგობრობა გვაკავშირებდა და გვაახლოებდა.

დათაკო იყო უაღრესად პატიოსანი და სტეტაკი ადამიანი, გატაცებული წმინდა იდელებით და ოცნებით სამშობლოს კეთილდღეობისთვის, რისთვისაც ის, როგორც მისი მამა და ძმა, როგორც ბიძამისი - იყო სოფელში და სოფლისთვის ზრუნავდა. მას უყვარდა ქართული ოჯახის ტრადიცია და მეგობრებსა და სტუმრებს, ოჯახში თუ ოჯახს გარედ, კარგად ხედებოდა და ღიდი პატივს სცემდა. ვინც მას იცნობდა - ღიდი თუ პატარა, ქართველი თუ არაქართველი - ის ყველას უყვარდა და აფასებდა მას, როგორც კარგ მეგობარს, საუკეთესო ოჯახის კაცს და ქალბატონთა წრეში - როგორც ელგანტ კავალერს.

ღიდი ძალიან უყვარდა და ვასაჭირში დაუზოგავი დახმარება იცოდა სიტყვით და საქმით. გული მწყდება, რომ ასე ნაადრევად უნდა გამოვემშვიდობო მას.

ვახტანგი ჩხაიძე



✠ მარიამ ლოლობერიძე (ნეკროლოგის მაგიერ)

ამა წლის ოც თებერვალს, დღეთ ორშაბათს, ლევილის მიწას მივაბარეთ კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, მსოფლიანი მანდილოსანი, ქალბატონი მარიამ ლოლობერიძე.

მიუხედავად სამუშაო დღისა, დაკარგულს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მათ შორის ბევრი იყო ახალგაზრდობა. საფლავის პირად, მოძღვრის მიერ უჯანსაღი წესის შესრულების შემდეგ, სანამ კლბის აკლდამაში ჩაუშვებდნენ, ქალბატონმა ლუბა აბდუშელიშვილმა წარმოთქვა ფორმით და შინაარსით შესანიშნავი სიტყვა, ქართულ ენაზე.

ორატორმა სამართლიანად ბრძანა, რომ განსვენებული იყო დიდი კულტურის მქონე ადამიანი, უყვარდა თეატრი და კინო და არ აკლდებოდა მათ წარმოდგენებს, ბევრს კითხულობდა, აოეზია, მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება და მუსიკა მისი სულიერი საზრდო იყო. ის ხელს უწყობდა და ამხნევებდა გადმოხვეწილობაში მყოფ ქართველ შემოქმედ ახალგაზრდობას, ისე, რომ უჯანსაღელ მსოფლიო ომის წინ მისი პატარა ბინა ლიტერატურულ სალონის მაგიერობას ეწეოდა, პარიზის ქართველებისათვის. მარიამს უყვარდა ადამიანები, ის მათთან ერთა მთელი არსებით ვანიციდდა სიცოცხლეს, მისგან გამოწვეულ სიხარულს და ასევე მწუხარებას. მარიამს უტხოვლებშიაც ბევრი ჰყავდა მეგობარი, მაგრამ უმთავრესად ის ქართველებს შორის ტრიალობდა და მიეღი არსებით იზიარებდა, როგორც მათ სიხარულს და ბედნიერებას, ისე მათ კირი-ვარამს. მარიამმა ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ნათელი აზროვნება, როცა სიკვდილის ზარმა დარტყა, ის მას იშვიათი სტოიკური სიმშვიდით შეხვდა და უჯანსაღულად კიდევ დაამტკიცა თავისი დიდბუნებოვანება. სანამ წერტილს დაეუსვამდევ, მინდა ერთი დამახასიათებელი ამბავი გაეზხენო.

კარგად ცნობილია: მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ზოგიერთმა, ნებით თუ იძულებით, გერმანიის მხარეზე გადასულმა ყოფილმა მეომარმა, უარი თქვა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე. იმ დროს იმათი მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. საბჭოთა მთავრობის მიერ წინასწარ მზაკერული ხელშეკრულება იყო დადებული მოკავშირეებთან, ყოფილ საბჭოთა მოქალაქეების სავალდებულო გადაცემის შესახებ. საფრანგეთის პოლიციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ამ მის ნაკლებად სასახელო მისიას დიდი გულით არ ეკიდებოდა, თუ მინც და მინც თვალში არაფერ ჩაუვარდებოდა, განვებ სიბუტეს იჩენდა..

დარჩენილთა მდგომარეობა სავალალო იყო. საკირო იყო სასახელოდ მინც არალეგალურად ეცხოვრათ, პირადობის საბუთები არ გააჩნდათ და უამისოდ მუშაობაზე ლაპარაკი კი ზედმეტი იყო. საკირო იყო ჩაცმა-დახურვა, გამოკვება, უცხო ენის ცოდნა თუ მეტად შესწავლა. უფროს თაობას, როგორც ეს ქართული წესია, წინასწარ არ უფიქრია არც თანხის მოგროვებაზე, არც ორგანიზაციებზე. ყველა ფიქრობდა უჯან, სამშობლოში, დაბრუნებაზე და არაფერ თანამემამულეთა ახალი ნაკადის მიღებაზე.

ვისაც ახლო ნათესავი ჰყავდა მას შეაფარა თავი, უმრავლესობა ბრმა ბედის ამარად იყო მიტოვებული, ქართველობის საბუთის შოვნაც კი თითქმის შეუძლებელი იყო ამ ოფიციალურად არ არსებულ ადამიანებისათვის. იმ პირობებში, მხოლოდ ქართული ჯიჯარის გამოქვადუნებაც კი დიდი ბედნიერება იყო მათთვის. აი, აქ გამოიჩინეს თავი ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულე მანდილოსნებმა. ისინი არ თავილობდნენ ფული, ტანისამოსი და ხშირად სასმელ-საქმელი შეეკროვებინათ ქართველებში, იჩენდნენ დედობრივ და დურ მზრუნველობას. ყოველმხრივ ცდილობდნენ მორალი აეწვიათ, გაემხნევებით გასაქირში მყოფი თანამემამულეები. ამ იშვიათ ქალბატონებიდან, განსაკუთრებული ღვაწლი მიიძღვიო: თამარა რუხაძეს, მანია სიამაშვილს, მარიამ ქარცივაძეს და მარიამ ლოლობერიძეს.

თამარა რუხაძეს, რომლის მეორე ქმარი ხარისკიარაშვილი სამშობლოს განთავისუფლებას შეეწირა ამ ომში, შედარებით დიდი და კეთილმოწყობილი ბინა ჰქონდა პარიზის მეხუთმეტე უბანში. მას ერთი ქალ-ვაგი ჰყავდა, ქალიშვილი ეთერი წარმატებით სწავლობდა კონსერვატორიაში, პიანისტის კლასში, ბიუტნა-ვისიკო სულ პატარა იყო, გოგონავის ლამაზი და კეთიანი. ორივე დაძმა უაქცენტო, მშვენიერი ქართულს ლაპარაკობდნენ. ქალბატონმა თამარმა ფართოდ გაუღო სახლის კარებები უფრესად კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ თანამემამულეებს. მის ჯუჯში თევობით ცხოვრობდნენ ხუთი-ექვსი და ხშირად მეტიც და მხოლოდ პირადობის საბუთების რიგში მოყვანილ დასახუშაოს შოვნის



შემდეგ, მიდიოდნენ თავთავიანთ გზაზე. ეს ნამდვილი ქართული ოჯახი იყო. ასეთზე დრან-გები იტყვიან „კეთილი ღმერთის სახლიაო“. სხვებიც(- ახალბედა ემიგრანტები მრავლად) ხშირად ვიკრიბებოდით იქ, იმართებოდა ნადიმები, სადღეგრძელოებით, სიმღერებით და ცეკვებით დამშვენებული. მაგიდა ყოველთვის სავეს იყო საქმელ-სასნელებით, მასპინძელი კახური შემოდგომასავით გულუხვი და მომღიმარი.

უცვირდათ თუ როგორ ახერხებდა ეს მარტოხელა მანდილოსანი საკუთარ შვილების ასე კარგად აღზრდას და ამავე დროს „დიდი შვილებს“(ასე ეძახოდა ის ახალ ემიგრანტებს) მიმართ ვაწველ ამავს. თამარა რუხაძეს, ამ კეთილშობილ მისიაში, გვერდში ედგნენ და ყოველმხრით ეხმარებოდნენ სიკეთითა და კეთილშობილებით აღვსილი ქალბატონი მანია სიამაშვილი, რომელიც იმავე შენობაში ცხოვრობდა, ჭკრივი მარიამ ქარცივაძე, თამარის ოჯახის მეგობარი და მოამაგე, რომელიც იმ დროს მასთან ცხოვრობდა და სიცოცხლით აღსავსე, ანჩხლი მაგრამ უაღრესად კეთილი და მეგობრებისადმი თავდადებული მარიამ ლოლობერიძე.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თამარა რუხაძის „დიდი შვილები“ მიმოიფანანენ, ზოგი სანხრეთ თუ ჩრდილო ამერიკაში გადასახლდა, ზოგი წლების შემდეგ მშობლიურ კერას დაუბრუნდა, შალვა აღშიბია, ვანო მჭვენეირაძე, ლადო შარაბიძე და დავით ბახტაძე კი ლევილის მიწას მივებარეთ. იმ ოთხი კეთილშობილი მანდილოსნიდან: თამარა რუხაძე სულ ადრე და ახალგაზრდა გარდაიცვალა, ღრმად მოხუცებული მანია სიამაშვილი დიდხანს ამოად ელოდა სამშობლოში დაბრუნებას და პარიზში გარდაიცვალა, მარიამ ქარცივაძე, რომელიც მეორედ ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ ნიკოლიძეშვილს, დაქვრივების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა და როგორც გავიგე, რამოდენიმე წლის წინად გარდაცვლილა, დღეს კი უკანასკნელს, მარიამ ლოლობერიძეს ვემშვიდობებით.

თუმცა, ჩემთვის არავის დაუვალავია, მაინც ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, იმ თაობის სახელით, რომელიც ომსა და სტალინის პოლიტიკის რისხვას გადაურჩა, მოკრძალებული მადლობა მეთქვა ოთხივე მხურვალე მამულიშვილ ქალბატონებისათვის და მათი უცდავი სული მოწყალე მამაზეციერისათვის შემევედრებია.

გ. წ.

✦ მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას :

ა.წ. 10 აპრილს, კაბორიაში (კალიფორნია, ამერიკ.შ.შ.) 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ძეგალაი გიორგი პაპაშვილი.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, საფრანგეთში გარდაიცვალა ვალია ჯიბლაძე. ა.წ. 27 ივნისს დასაფლავდა ლევილის სასაფლაოზე, დღემდისი გვერდით.

ა.წ. 17 ივლისს, უეტრად - გულის სივანეირთ გარდაიცვალა გიორგი შანშიაშვილი. 21 ივლისს დასაფლავდა ლევილის სასაფლაოზე.

მძიმე ავადმყოფობის შედეგად ქ. მიუნხენში(დასავლეთი გერმანია) გარდაიცვალა დავით (დათიკო) ურატაძე. 27 ივლისს მისი ნეშტი მიბარდა ლევილის სასაფლაოს.

ვგლოვობთ მათ დაკარგვას და ღრმა მწუხარების გამოხატველ სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნეტეშო პირისუფლებს.

დათიკო ურატაძის დასაფლავება

ხუთშაბათს, 27 ივლისს, ნაშუადღევს ოთხ საათზე, სოფ. ლევილის ეკლესიაში გადახდილი იქნა დავით ურატაძის პანაშვიდი და წესის აგება, რომელსაც მრავალრიცხოვანი საზოგადოება დაესწრო. დასაფლავების წინ, გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ვახტაგი ჩხაიძემ. მიცვალეულის დასაფლავების შემდეგ, დამსწრე საზოგადოება მიიწვიეს პირის პურზე, საღად სიტყვებ წარმოთქვას ვ. ხომერიკმა, კ. ინასარიძემ, ნ. ცინცაძემ, კ. ნალირაძემ, შ. კალანაძემ და კ. აღშიბიამ.

ჩვენი დიდი სინანული და უზომო მწუხარება კარგ მეგობარს, ღირსეულ ქართველს დათიკო ურატაძეს, უდროოდ წასულს ჩვენი რიგებიდან.



მემსის და წერენ კიდევ ზოგიერთი პირები შეფიცილებზე ისეთ რამეებს, რაც სიმაართლეს არ შეეფერება. ვიწყებ განსვენებულ სოლიკო ზალდასტანიშვილის მოგონებიდან. მე დიდ პატივს ვცემდი სოლიკოს, ჩემი ყარკე მეგობარიც იყო. მის მოგონებაში ზოგიერთი ფაქტი სიმაართლეს არ შეეფერება, მე როგორც ცოცხალი მოწმე, საჭიროდ მიმაჩნია მათი შესწორება. მოგონების მეთვრამეტე გვერდზე ნათქვამია: პარტიზანული რაზმის უფროსად დაინიშნა კახეთში ქ. ჩოლოყაშვილიო, როგორც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელიო. როდესაც პარტია ნიშნავს, რაიმე საქმეში პარტიის წარმომადგენლად ვინმეს, ეს პირი უნდა იყოს იმ პარტიის წევრი. ვაცხადებ კატეგორიულად, რომ ქაქუცა თავის დღეში არც ერთ პარტიაში არ ყოფილა, ამიტომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი ვერ იქნებოდა. ქაქუცა იყო დიდი პატრიოტი, მხედარი, გულადი და არა პარტიის კაცი. თუმცა თვით ქაქუცა და მთელი შეფიცილები დიდ პატივს ვცემდით ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და მის ლიდერებს, როგორც განსვენებულ სპირიტონ კედიას და სხვებს, და აგრეთვე ყოველ ეროვნულ წამოწყებას.

ამავე თვარემეტ გვერდზე ნათქვამია, რომ ხეგსურები ძალს ატანდნენ ქაქუცას მალე დაუწყით ბრძოლა რუსებსაო, წაგვიბილწეს და ავგიწიოკეს ოჯახებიო. ხეგსურეთში ერთ რუსის ჯარისკაცს, ან რომელიმე კომუნისტების მოხელეს არ შეუღვამს ფეხი, მანამ ჩვენ ბრძოლა არ წავაგეთ. მაშ ვინ აწიოკებდა ხეგსურების ოჯახებს? მთელი ხეგსურეთი შეიარაღებული იყო. არ იყო ისეთი ოჯახი რომელშიაც ორი სამი ვინტოგვა არ ყოფილიყოს ამბოხების ხანებში.

23 გვერდზე ნათქვამია: ვ. ყარანგოიშვილის შეერთებაზე, რომელსაც მოჰყვა ხუთი კაცი: ლუა კვალიშვილი, ლ. ნახარეიშვილი, შალიკო კანდელაკი, შანშიაშვილი და ქაქვიანიძე. ეს უკანასკნელი სამი, ვ. ყარანგოიშვილის საშუალებით, ჩეკამ შემოაპარა ჩვენთან. ყარანგოიშვილს, რომ მოჰყვა კანდელაკი მას შალიკო კი არ ერქვა, არამედ ვასო. შალიკო კანდელაკი იყო ჩემი თავიდანვე შეფიცილი, რომელიც ვაჟკაცურად მოკვდა, ჩემს მოგონებაში ეს ზუსტად მაქვს აწერილი. ამ სამს ჰქონია დავალება მოკლან ქაქუცა, ან ვინმე მისი ახლობელი შეფიცილი. მანამ ჩვენ შეგვიერთდებოდა ყარანგოიშვილი, ჩვენს რაზმში მოხდა არა სასიამოვნო ამბავი, ჩემი მოკავშირეების საშუალებით და მათი ნდობით რაზმში მივიღეთ ვინმე ტრასი ჩხეტიანი. სულ თვე ან თვენახევარი იყო ჩვენთან. სადაც მიდიოდა შეფიცილებთან ერთად დამე ჩვენ მოკავშირეებთან, თურმე კედელზე რაიმე ნიშანს აწერდა და ერთ დღეს ორ შეფიცილთან ერთად გაგზავნილი ამხანაგებს ვაებარა. ე.ი. ჯამში გამოდგა. წავიდა თელავის რეკომში გამოცხადდა და, რა თქმა უნდა, უამბო ყოველი. ეს მოხდა ყარანგოიშვილის შეერთების ორი კვირის წინად. ცხრა დღეს დავდედით ტ. ჩხეტიანს, რომელსაც ხელისუფლებამ რაზმი შეუქმნა, ცხენოსანი, **25** კაციისაგან და დავგიწყო დევნა იმან ჩვენ და ჩვენ იმას. სამი დღის მისული იყო ჩვენთან ყარანგოიშვილი თავის ხუთი კაცით, რომ უცბათ შეგვატოკობენ ჩვენ შეზობულ სოფელში ტრასის არის თავის რაზმითო, ააწიოკა მთელი სოფელიო. ქაქუცამ საჩქაროდ დავგინიშნა ექვსი კაცი, ძველი შეფიცილები. ერთმა ახალმოსულმა შაშვიაშვილმა თხოვა ქაქუცას, რომ ისიც გამოეშვა ჩვენთან. ე.ი. გავხდით შვიდნი. საჩქაროდ წავედით და შეეუკარით გზა, სადაც უნდა გამოეგლო ჩხეტიანს. ქაქუცა დანარჩენი რაზმით ჩვენ ზევით იყო და იქიდან გვზვერამდნენ, თუ რამე გავგიჟორდებოდა მოგვეშველებოდნენ.

დიდმა ხანმა არ გაიარა ჩხეტიანმა გამოიარა, ატყდა სროლა და ჩხეტიანი ცხავივით გახადეს შეფიცილებმა. მილიციონერები გაგვექცნენ სხვა და სხვა მხარეს, მე რამდენიმე მათგანს მივდედდი და ვესროდი. უკან მომდევდა შაშვიაშვილი, შევატყვე, რომ ვითომც ისიც გამორბის, მაგრამ ცდილობს უკან ჩამორჩეს და ტყუილად აბრაგუნებს ფეხებს. მე ეჭვი შევიტანე და გაბრაზებულმა დაუყვირა: მე რას მომდევ უკან, წაიდე წინ და ესროლე მთქო. მოკლეთ, მის ტრიალში და ლაპარაკში, გაქეულმა მილიციონერებმა თავს უშველეს შაშვიანის საშუალებით. ჩემი რწმენით მას უნდოდა ამ სროლაში ჩემთვის ტყვია დაეატყა, ვითომ სროლაში მომხვდა! მე ძალიან არ მესიამოვნა მისი საქციელი, მაგრამ მაინც ქაქუცას არაფერი ვუთხარი. ამ სროლაში მოკვდა კიდევ ორი მილიციონერი. ეს ამბავი მოხდა ახმეტა



მატნის რაიონებში. იმავე საღამოს უნდა სანოვავესათვის წასულიყვნენ სამი კაცი, ამ სანოვავეს მამა მოსულმა ჯაშუშებმა: ვ. კანდელაკმა, შაშვიაშვილმა და ქაქუციანი ითხოვეს, წავალთ, რადან დასვენებულები ვართო. მაგრამ მათ არ იცოდნენ ვისთან უნდა წავიდნენ, ვადაშვილდნენ მე გავყოლოდი. ქაქუციანი თქვა მაგას მაგისთვის არა სკალიაო, მერე გადავიკიდნენ სერგო მისურაძეს, მანაც უარი უთხრა, ამისათვის გავყოლოდი ერთი ახალგაზრდა მატნელი ბიჭი, რომელიც სულ თვეწახვევის წინად ციხიდან დასახვრეტად დატუსაღებული გამოვაქციეთ. იმ დამეს გამოიტანეს რაზმის საგძალი, სოფლიდან ტყეში რომ ამოვიდნენ შევისვენოთო, წამოწვენენ მიწაზე, ამ საწყალ ბიჭს მძინარეს ტყვია დაჰკრეს და მაშინვე წავიდნენ თელავში. ამ ამბის მოხდენაში მე ჩემს თავს ვამტყუებ. წინა დღით სროლაში მე რომ შაშვიაშვილს დავიკეცი, მან იფიქრა, რომ მე ვეტყუდი ქაქუციანი და, რა თქმა უნდა, ეჭვის თვალქვეშ იქნებოდნენ. ამის გარდა, ქაქუციანი მოკვლა ბინას, ან ვისიმე შეუღებლად დაიხანეს, ამისათვის აჩქარდნენ, თუ გავგიგეს დავიღუპებითო, მოკლეს საწყალი ახალგაზრდა და გაიქცნენ ლაჩრულად. მე რომ ქაქუციანისთვის მეამბო, ან სხვა შეფიცულებისათვის შაშვიაშვილის საქციელი სროლაში, ალბათ სხვანაირად წავიდოდა საქმე, მაგრამ მე არ ავჩქარდი, ვიფიქრე იქნებ ვცდებოდე მეტეჟი.

26 გვერდზე ვკითხულობთ, რომ დამკომის ერთ კრებაზე მიუღიათ ფიცი და ამის გარდა, ჩენი რაზმისათვის დაურქმევიათ „შეფიცულთა რაზმი“ და ამ გადაწყვეტილების პირი ყარანჯო ზივილისათვის გამოუტანებიათ 1923 წლის აპრილში თუ მაისში. სასაცილოა, წელიწადზე მეტი, 1922 წლიდან, შეფიცულთა რაზმს გვიწოდებდნენ ყველა და ახლა მოჰგონებიათ ამ სახელის დარქმევა ჩვენთვის. ეს სახელი ასე წარმოიშვა: 1922 წელს ვიყავით დაბანაკებული პანკისის ხეობაში, ეს იყო პირველი ბაზა, სადაც ყალიბდებოდა ჩვენი რაზმი, თელავის მაზრაში. ჩვენს მახლობლად სახლობდა ერთი ფშაველი თავისი ოჯახობით, რომელიც დაგვიპირდა სააღდგომოდ სკლავს დავიკვლიათო. აღდგომა იმ წელს ნაადრევი იყო, მარტში, რიცხვი არ მახსოვს. ამინდი საძაველი იყო. სააღდგომოთ ამ ფშაველმა თავის სიტყვა დასრულა-საკლავი დავიკეცი. სოფლიდანაც ბევრი რამე ამოვივიდა, დიდი ტიქტი ღვინო და სხვა. აღდგომა დღისით მშვენიერი ამინდი გამოვიდა, ბევრი სტუმარიც ამოვივიდნენ, მოკავშირეები. მათ შორის ერთი ხევსურთა დიმიტრი კინჭარაული, ხევსურები „ბაბოს“ ეძახდნენ. მე დიმიტრის დიდი ხანია ვიცნობდი. მას პატარა სწავლა ჰქონდა მიღებული. ხევსურებს თავინთ სოფელში ხევისებრად ჰყავდათ ამორჩეული. სუფრამდე, დიმიტრიმ გვითხრა ჯერ უნდა ვილოცოთო და დაიწყო თავინთებურად ლოცვა. იმ დღეს დიმიტრი ჩვენი ხევისბერი იყო, ჩვენ ყველა ქედმოხილი ვიდევით. ლოცვა რომ ათავდა სტუმრებიც ყველანი მოეწინენ მშვენიერ გაწყობილ სუფრას, დაიწყო შექცევა და სიტყვები. აი, აქ ადგა დიმიტრი, აიღო სასმისი და მიმართა ქაქუციანს: „შენ იღბალმა გარგუნა ამისთანა უაყუაცებს ჩაუღმეჩი სათავეში და ჩვენს მტრებს ბრძოლა გამოუცხადე ჩენი ქვეყნის საღიღებლადო. შენ გამოგყევა მთელი საქართველო და ეს პატარა რაზმი გვებერთელა ჯარად ვადაიქცევა. აი, ამავე მიზეზში ალექსანდრე ბატონიშვილისაგან დაქნლი ბილიყებზე ბლაბი ამოვიდა და შენ ვერგო იღბლად ეს ბილიყები უნდა განაახლოო, მას ახლდნენ შეფიცულთა და შენ რაზმსაც შეფიცულთა რაზმი უნდა დაარქვაო.“ ამ დღიდან ჩვენ შეფიცულებს გვიწოდებდნენ სუყველანი. აი როდის დაიწყო შეფიცულთა სახელი, 1922 წელს, აღდგომა დღისით, დიმიტრი კინჭარაულის რჩევით. დიმიტრი დიდი პატრიოტი იყო, ის დახვრიტეს და სიკვდილის წინ ჰგომბდა თურმე ქართველ მოღალატეებს და ყვიროდა გაუმთარჯის საქართველოსაო.

წიგნის 29 გვერდზე ნათქვამია, ქაქუცა ორი შეფიცულით თბილისიდან ვავისტუმრე ტყია-წამლით დატვირთული. ის ტვირით, მოვიდა თუ არა ქაქუცა, მე ვადგომე და მითხრა დათრივე ბიჭებს ვისაც აკლიაო. მაშინვე გავხსენი პარკი, დაახლოებით კილონახევარი, რომ დავინახე რა ტყეები იყო, როგორც ბნელიანი წამოვხტი ყვირილით: ეს რა გამოგატანეს, სასაცილოდ გვიგდებდნენ თუ რა არის. ამისთანა ტყეებით და მიკახლებით ჩვენი წინაპრები იმობდნენ თქვა. პარკში იყო 15-20 ცალი პარახელუმის ვაზნა, დანარჩენი იყო სმიტისონის ტყეები, რომლებიც მაშინვე ვადავყარე. ეს იყო პირველი და უკანასკნელი, დამკომს ჩვენთვის ვაზნა ან ბომბი არ მოუცია.

წიგნის 31 გვერდზე ვკითხულობთ: კავთისხევის რაიონში ტრიბუნაობდა ორი დიდი რაზმიო, ქ. ჩოლოყაშვილის და მ. ლაშქარაშვილისაო. რომლებსაც სურვილი ჰქონდათ ვა-



ერთიანებისაო. ვინ ან სად ნახა ლაშქარაშვილის რაზმი და ისიც დიდ ? ან თუ ვინმეს გაუტყდა, რომ ლაშქარაშვილის რაზმმა რამე საქმე გააკეთა, დიდი ან პატარა? განსაკუთრებით იმისათვის არის, რომ ტყეში ან სხვენში იმალებოდეს? ხეცურების ამბოხების დროს, ივლინში, ლაშქარაშვილმა, ფალავანდიშვილმა და სხვებმა მონაწილეობა მიიღეს ხალხის მოგროვებაში, რომლებიც იყვნენ დაბანაკებული ხანდაკის ხეობაში. მათი ამოცანა იყო ჩვენზე მოსული რუსის ჯარისათვის, არაგვის ხეობაში, ზურგში დაერთყათ და ამ ვიწრო ხეობაში მათი დამარცხება ადვილი კი არა აუცილებელი იყო. ეს გავსა იყო გამოჩინარისებრი მხედრებისაგან. შტაბის უფროსმა მუსხელიშვილმა მოსთხოვა სოციალ-დემოკრატებს, რომ მათი რაზმები მუსხელიშვილის განკარგულებაში გადაეცათ. სოციალ-დემოკრატებმა უარი უთხრეს, ვითომ ნაადრევიაო ამბოხება, მაგრამ ხანდაკის ხეობაში, 300-400, დაგროვილ ხალხში ვაუშვეს აგენტები, რომლებიც ეუბნებოდნენ ხალხს: დაბრუნდით სახლებში თორემ თუ ჩოლოყაპილია ვაინბარჯვა თავადიშვილია მაშინვე შემბამულეებს დაუბრუნებს მათ მიწებიო. ასე დაშალეს ამდენი მოგროვილი ხალხი, თანაც შეიარაღებული, რადგან რუსებმა ვერ მოასწრეს ხალხის მთლიანად განიარაღება. დაშალეს ამ მიზეზით ოფიციალურად, რომ ვითომ ნაადრევია ამბოხებაო. ჩემ მოგონებაში მე უფრო ვრცლათა მაქვს აწერილი, რომ ყველაზე კარგი დრო ამბოხებისათვის, სწორედ ხეცურებისა იყო 1922 წლის აგვისტოში. ამ ხალხს სათავეში ედგა როტმისტრი სიმონია ბავრატინი, ჩემი დიდი მეგობარი, კაპიტანი ყარალაშვილი, კ. ჩოლოყაპილი და კიდევ ორი, რომელთა გეარები და ჩინი არ მახსოვს. ამბოხდა, ეს ამოდენა ძალა ამ მოლაპარაკებაში და პარტიული თითების აშვერაში საქმე დაიღუპა ისე, რომ ერთი თფი არ გაუსროლიათ. მანამ პეტრე მოვიდა პავლეს ტყავი გააძვრეს. შემდეგში ყველა ეს ოფიცრები იყვნენ დახვრებიო.

ამის შემდეგ ლაშქარაშვილის კვალი დავკარგეთ. თითქმის ერთი წელიწადი ვეძებდით. როგორც იყო 1924 წლის მარტში თუ აპრილში გაგვაგებინეს, რომ ლაშქარაშვილს უნდა თქვენთან შეერთებო. ქაქუცამ მე და ბაღური გაგვაგზავნა მის მოსაყვანად. მიგვიყვანა მოკავშირემ, მანგლისის რაიონში, ერთ მთიულის სახლში. აი აქ ვიპოვეთ კაცი, რომელსაც წელიწადზე მეტი დავეძებდით. ჩამოვიყვანე სხვენიდან დაღეჯილ-დაფლეთილი, გაბრდნული, ადამიანის შეხედულება აღაა ჰქონდა. ერთი ჩაყვანებული მათუზური ეყიდა, ჩაქუჩი უნდა დაგეტყვა რომ გავარდნილიყო. მოვიყვანეთ რაზმში. გავტოკეთ, ვავაძარსეთ, ჩავაცით, დავხურეთ და კაცს დაემსავსა. მაგრამ რაზმისა რა მოგახსენოთ, არავის არ უნახავს და როდესაც შევეციხეთ სად არი შენი რაზმიო, გვიპასუხა: სამიოდე კაცი იყო ჩემთან, დიდი ხანია წვიდნენ, მხოლოდ ერთი ბიჭი ხანგამოშვებით მხედება, ის სხვისთან ინახავს თავისაო. ეს მისი რაზმელი იყო კონტაშვილი, რომელიც ჩვენთან მოვიდა და ჩადგა შევიტყუების რიგში

1977 წლის დეკემბრის ჟურნალ „ივერიაში“, განსვენებულ სევერიანე ქირაქაძის წერილში ვკითხულობთ: სირილდონ კედიასთან მოლაპარაკების შემდეგ, ქაქუცამ პარტიზანულ რაზმის ჩამოყალიბება დაიწყო. ა. ასათიანმა წესდება შეუდგინა რაზმის მოქმედებისაო. მე თავიდანვე ამ საქმეში ვიყავი, თავისდემი არ მინახავს და არც გამოიგონია, რომ ასეთი წესდება არსებულყოფი. შეფიქრულთა რაზმის იდეა დაიბადა საჯავახოს სადგურზე, როდესაც მე შევხვდი ქაქუცას. ამის შესახებ ჩემს მოგონებაში დაწვრილებით მაქვს აწერილი. რაც შეეხება რაზმის ჩამოყალიბებას, ის დაიწყო პირველ ცხენოსან ათასეულში. ბათუმში ქაქუცას შეხვდა ყლობა, მაშინ ცხენოსან დივიზიის უფროსი, ყოფილი ეპარტიზანული ტერაქცი პოლკისა, ქაქუცას ასულიდან. ყლობას ძალიან გაუხარდა მის ყოფილ უფროსთან შეხვედრა და შესთავაზა ყველანაირი დახმარება. ბევრი მოფიქრების შემდეგ, ყლობამ და ქაქუცას სურვილით, პირველი ცხენოსანი ათასეული და ცხენოსანი გვარდიის დივიზიონი შეაერთეს პირველ ცხენოსან ათასეულად, რომლის მეთაურადაც ყლობამ დანიშნა ქაქუცა, მაგრამ ქაქუცამ არ იცისრა მეთაურობა და მისი მითითებით დანიშნა ფრიდონ წულუკიძე, მხოლოდ თანამემწედ ქ. ჩოლოყაპილი. საბოლოოდ, მთელი რიგი ცვლილებების შემდეგ, ათასეული კახეთიდან თბილისში გადმოიყვანეს. ათასეულის უფროსად დანიშნეს ჯ. ხიმშიაშვილი და თანამემწედ ა. ლაფერაშვილი. ქაქუცამ დასტოვა სამსახური, დაიწყო არალეგალური ცხოვრება, რადგანაც არავინ იცოდა როდის დაიქვრდნენ. მეც უნდა წავსულიყავი სახლში, ოჯახი მელუპებოდა, არავითარი საინტერესო არ იყო ჩემთვის სამსახური. ქაქუცა არავითარ არ მიშვებდა ათასეულიდან წასვლას. ბევრი დავიდარაბის შემდეგ დავრჩი ათასეულში დიდი გვეგობა მომავლისა-



ოვის. ათასეულში კიდევ იყვნენ ძველი გამოცდილი ბიჭები, რომლებსაც სურვილი ჰქონდა ხელს დაეხმობოდათ ზრდილობისა. აი აქ უნდა შემუშავდნა, გვემზადებინა სულყოფილი ადამიანები პარტიზანული რაზმისათვის. ეს ზამთარი უნდა გავგეგმავდით ამ მზადებაში (1921 წ.) და ვაზაფხულზე, როდესაც ქაქუცა შემატყობინებდა უნდა ათასეულიდან წავსულიყავი, ვითომ სამეცადინოდ მიმეყავს ასეული, მაგრამ პირდაპირ ტყეში. ძალიან ძნელი შეიქმნა ჩემი ათასეულში მუშაობა. მეტად მაგარი ხასიათის უნდა იყოს ადამიანი, რომ მტერთან იმსახურო და ის არ მივიგდეს, რომ შენ მისი მტერი ხარ და მოუთმენლად ელი იმ ვაშს როდის გექნება საშუალება მისი ჩამოხრჩობისა..

იმ ხანებში, ათასეულში არჩევდნენ ხალხს სამხედრო სასწავლებელში გასაგზავნად. ჩამომაცივდნენ მეც. მე სულ სხვა საჩუქრის ვიყავი ათასეულში და ამით თავიანთ კაცად დამინახეს. ნათქვამია: ვიჩს პიტნა ძულდა, მიიტანეს და ცხვირში მისჩარესო. ბევრი მიზნების, ნამეტნავად ოჯახური გარემოების გამო, როგორც იყო თავიდან მოვიცილე; ათასეულში ბევრი ჯარისკაცი შეყავდა უკვე მომზადებული რაზმში წასასვლელად, ამისათვის ხან-გამოშვებით საჭირო იყო შეხვედრა და ზოგიერთ ამბების გადაცემა. ძალიან ძნელი იყო ამდენი კაცის თავის მოყრა სადმე, სადაც შეიძლებოდა თავისუფლად ლაპარაკი. ამისთვის გვიხდებოდა ორთაქალის მალა გორებზე ორ-ორი ან სამ-სამი სასაიდროდ მივდიოდით, ერთი საათის ან ცოტა მეტის განმავლობაში გავაცნობდით ერთმანეთს მიმდინარე მდგომარეობას და ყველა კისრულობდა თავის დავალებას. ასეთ შეხვედრებს ორჯერ ან სამჯერ ვახერხებდით თოვში. მე იმ ხანებში ტყვიამფრქვევის უფროსად დამნიშნეს. მე უარი განვუცხადე იმ მიზნით, რომ არაფერი მესმის ტყვიისმფრქვევისა მეთქი. ჩამაცივდნენ ინსტრუქტორს მოგვით, შეისწავლეო. მაშინ ვთქვი ჯანი გავარდეს სკოლაში წასვლას ეს მიჩვევია. ორმოცდაათი კაცი მყავდა გუნდში, ოცდაათი ცხენი. ყოველ დღეს გამომყავდა ჯარისკაცი და ვამეცადინებდი, იმდენად გულმოდგინედ, რომ ვინც არ იცოდა ჩემი გულისწყალი ვერხანათ, რომ მეც გავკომუნისტი. ცხენები, რომლების წყევანაც გვიღოდა კარვად ვაქმევდით და რადგანაც საკვები ძალიან ცოტა იყო, სხვა ცხენებს ულუფას ვაკლვებდით, ამიტომ ბევრი ცხენები იხოცებოდნენ. გუნდში ოცი ტყვიამფრქვევი მქონდა, იმათგან, რომლებიც კარგი იყო უნდა იან წავგველო. ამ წვალბაში და ტანჯვაში ვიყავი, რომ მეგობარმა აცმა შემატყობინა და ის უკვე კომუნისტობთან მუშაობდა, მაგრამ რაღაც წმინდა შერჩენოდა, აბა, რაც შეიძლება მალე თავს უშველეო. სულყოფილი იციან რასაც აკეთებ და რისთვისაც ემზადებიო. რადგანაც ასეთი გარემოება შეიქმნა, იძულებული ვიყავი დროზე გავცლოდი და ყველაფრისათვის თავი დამენებებია. ეს მოხდა დღით, მაშინვე გადავწყვიტე საღამოთი წასვლა. ამისათვის, ვისი ნახვაც მოვასწარი იმ დღისით, ყველას არ შეეძლო ასე უცხად წამოსვლა და რომლებიც დამყავდნენ იმ დღესვე წასვლაზე, თორმეტი კაცის მეტი ვერ მოხერხდა. იმავე საჯამოს, ეს თორმეტი კაცი, ჩავაყენე რიგში კარგა შეზინდებულზე, ვითომ ყოაღელი მიმეყავს, ორთაქალიდან, სადაც იღვა ჩვენი ათასეული, გავემზადებინა ნაძალადებისაკენ, იქ ჩემ მახლობელ ოჯახში, თითო-თითოთი გაზიდული მქონდა ათი სამხედრო თოვლი, ისინი გამომოიტანეთ და გავემზადებოდა გლანისაკენ, იქიდან გადავდივით დროში, თინათვის მარტაში, შემდეგ კი თელავის მარტაში. ამგვარად, სულ სხვა პირობებში დავწვი ჩვენი მზადება და ძალების შეგროვება. აზრი ჯერ კიდევ საჯავახოში დაიბადა და ქაქუცა იმ აზრის იყო, რომ არ უნდა აგჭარბებულიყავით, ცხენოსან ათასეულში დიდი რაზმი უნდა შეგვედგინა და ისე ვაგუსტოყავით, მაგრამ მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ ჩვენი ვასვლა მოხდა აჭარებით და ნაადრევად. ყოველივე ეს ჩემ მოგონებაში მაქვს აწერილი დაწერილებით. აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნო შემდეგი: კორაქაძის მიერ მოხსენებული, ა. ასათიანის მიერ შედგენილი წესდება, შეფიცულთა რაზმის მოქმედების შესახებ, ჩვენ თვლით არ გვინახავს. ასე უნდა დავძინო, რომ შეფიცულთა რაზმის დაარსება, თუ მოქმედება არ მიეწერება არც ერთ პოლიტიკურ პარტიას. ცხადია მერე კავშირი გემონდა სამხედრო კავშირთან და დამკომის კომიტეტთან. ჩვენ ავიღეთ იარაღი და ვიბრძოდით სამშობლოს გასაწინააღმდეგებლად. განსვენებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი მუდამ იმას გვიქვდავებდა, რომ ახლა დაშლილობის დრო არ არის, ყველა ერთად უნდა ვემსახუროთ სამშობლოს წმინდა მიზანს, მის თავისუფლებასო.

ალექსანდრე სულხანიშვილი



აკაკი გეწაძის „მუზარადში ამოსული ყვავილი“
(რადიო „თავისუფლების“ გადაცემიდან)

მწერად აკაკი გეწაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეორე მსოფლიო ომის თემატიკას. იგივე სიუჟეტი უღვეს საფუძვლად მის შესანიშნავ რომანს „მუზარადში ამოსული ყვავილი“-ს. რით გვიბღავს და გვიტაცებს ეს რომანი? პირველყოფისა უშუალოებით, მართალი სიტყვით, ღრმა ფსიქოლოგიური ადგილებით. რომანში აღწერილია ომის ერთი ეპიზოდი. სახელდობრ, ირანიდან დაბრუნებული ერთი ქართული ათასეულის გადასხმა ფეოდალის მიმართულებით. საბჭოთა სარდლობისაგან მისი ბედის ანაბარად მიტოვებულს, ჰიტლერის ჯარები ვანადაგურებს ათასეულს, ორი გადარჩენილი ჯარისკაცი ბძობლით გაიყავაც გზას, ხაზს გაარღვევს და წითელ არმიის ნაწილებს შეუერთდება, მაგრამ სწორედ მაშინ იწყება იმათი ნამდვილი ტრაგედია.

აკაკი გეწაძე შეუღარებლად ძლიერი და უშუალოა რომანის ეპილოგში. ქართული ათასეულიდან გადარჩენილი ორი ჯარისკაცი, მათა და მირიანი, ბრძოლებით დაქანცული, მშვიერ-მწყურვალნი და გაყინული, ღრუ-ტყევაში დაკარგული ბილიყებით ნულა, მაგრამ მტკიცედ, მიიწვევენ საბჭოთა ჯარების ვანადაგებისაკენ. სასწაულებრივად გადარჩენილ მათას და მირიანს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ: შეუერთდნენ საბჭოთა ნაწილებს, მიიტანონ იქ დაღუპულ ამხანაგების სია, სარდლობას აცნობონ მათი გმირობის ამბავი და კვლავ ჩაებნან ომში. ბოლოსდაბოლოს ისინი გადალახავენ მტრის ხაზს და უერთდებიან საბჭ. სამხედრო ნაწილებს, მათას და მირიანს წარუდგენენ „სათვალებიან და მელიტ“ ჩეკისტს, რომლის „გმირობა“ და „დამსახურება“ მხოლოდ ის არის, რომ მტრის ჯარების გარემოცვიდან სასწაულებრივად გადარჩენილ მებრძოლებს მოლაპარტე აცხადებს და გზავნის საღვთი დასასჯელად „სპეციალური ეშელონებით“. რომანის მიხედვით, თუშეცა მათას და მირიანს არა ერთი საბუთი გააჩნიათ მტრის ზურგში თავგანწირული ბრძოლებისა, მაგრამ „მელიტ და სათვალებიან ჩეკისტისათვის“ მხოლოდ ერთი „საბუთი“ არსებობს: ისინი მტრის ზურგში იყვნენ. მათას და მირიანს დროებით იქვე საპატიმროში ათავსებენ, სხვა მათა-მირიანის მსგავსი „მოლაპარტეების“ შეგროვებამდე და შემდეგ ყველას ერთად, სპეციალური ეშელონით, გზავნიან სპეციალურ ბანაკებში. ამისთვის მისთვისადნე ორდენებს იძლევიან. ასეთია „მუზარადში ამოსული ყვავილის“ ეპილოგი.

აი, რადიქალმე დიალოგი რომანიდან:

- ნეტავი იმას თუ დასჯიან. ვინც ჩვენ მტრის ზურგში გადაგყვარა და ბედის ანაბარად მივარეოვა? კითხულობს დაპატიმრებული მათა.
- ღმერთებს ყველაფერი ეპატიებათ. იმათ დანაშაულს მოჟლოდნელ აქციებს დააბრალებენ: ზღვა ვაიყინა და მაშველი ჯარის გადასხმა აღარ მოხერხდაო. უპასუხებს მირიანი.
- ხომ არ დაგვბრუნებენ? კითხებიან ყარაულს მათა და მირიანი.
- დაჩრეცა ღმერთმა გაშორეთ, მარა... პასუხობს ყარაული.
- არც ხაყლები შავი ღღე ვეგის ხომ? კვლავ კითხულობს მირიანი და უზომოდ განაწამებ და ახალი წამების მოლოდინით შეშფოთებულ მათას ისტერიული სიცილი აუჯარდება.

„მუზარადში“ ამოსული ყვავილი“ შეუნელებელი ინტერესით იკითხება, და ეს არა იმიტომ, რომ მისი ავტორი, აკაკი გეწაძე, განსაკუთრებით გამოჩენილი ნიჭის შემოქმედი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ის უშუალო და გულწრფელია, მისი კალამი ქეშმარტებებს ემსახურება, მართალ სიტყვას მოგვითხრობს! ზელისუფალთა დაღუპვებით დაღუპულ მილიონობით ჯარისკაცების ტრაგიკულ ბედს.

მეორე მსოფლიო ომის თემატიკაზე საერთოდ, და მასში ქართველი ხალხის მიერ დაღუპულ მხანგრძობრე სახელდობრ, ბევრი მხატვრული ნაწარმოები და ნარკვევი დაიწერა ქართულ ენაზე, მაგალითად პროფესორ კვესელავას ღიღებული ნარკვევი „ათასი ფული ბრალდება“, თვით ა. გეწაძის მეორე მოთხრობა „საით წავიდნენ ბიჭები“ და სხვა. „მუზარადში ამოსული ყვავილი“ კი ამ თემის დამწერლობის ერთერთი საუკეთესო შენამდენია ქართულ ლიტერატურაში. სამწუხაროა: ქართული კრიტიკა რატომღაც მოკრემ და ამ ნაწარმოების სეროზულ საჯარო ვარჩევას.

✚ დავით ურატაძე



მეგობრისადმი

„თოვლი თოვს ქიუხის თავსა, ქარი ჰქრის დაედგრომელი“. ხალხური

აღბათ თბილისში ახლა ღამეა და თეთრი თოვლის ოჩაპრად თოვს: ვერის ქარებიც ვანაწამია ვით ვარდასული კაოდების გლოვა. დიდი შემოდის მოგონებათა შენთან ხმაურით-ფარფატა მელი: მე და შენ, ძმაო, სხვა რა გვებადა საქართველოს და მისი ცის მეტი! დახედავ საათს და მის ბეღობას, მებგრულად იტყვი, ჩემად, „ვითი რე“,

გავახსენდება: ათზე, მცხეთობას ერეკლეს ძელები როგორ ვიტრე, ო, მეგობარო, როგორ ვეწამე. სული კირთებით ვადატეხილა. არ მოსულიყო ნეტავ ეს ღამე და ან თბილისი სულ არ მეხილა. ...გარეთ, ვერაზე ისევ თოვლია და ბნელში თვლებზე აკაციები... ო, რა უწყალო ბელი გვჭონია. გაყვითლებული და ხაციები •

ისრაელი 1975.

ჩვენი ტეხურის ხრეში

მთრთლავ ფერების ფარდა აქ თივთიკით წვეება, სად სიმყუდროვის გარდა არაფერია შეება. განწირულების შავი მოიპარება მძივი, გადაიარა ფშავი, კავკასიონი ცივი. ნათლის ავარდანს ზეზე ჩუმ დიდება ეწნა... ამ დაობლებულ მხეზე

როგორ კანკალებს ძეწნა. ირგოლივ ფერები მრავი მოწყყენილობა, დაღლა. ჩვენი ტეხურის ხოეში ჩვენი ტეხურის ტალდა. აქ სასოების მთლიან გრძნობას დიდება შევინდა... დღეს იმ წარსულებს თლიან გულმოსაკლავად ჩვენდა. ოპ, უამრავი განცდის ცავ ვადამტანო, ქუფრო,

დროს მომავალი გაცდის, თქვი: რა გაწუხებს უფრო. მზე ეშორება კონებს ყვავილთა ჩრდილის მოვლით; შენ მაინც რა ვაღონებს გულო,- დამშვიდდი ყოვლით. ისევ ფერები მრეში რამაც ოცნება თაღხა... ჩვენი ტეხურის ხრეში, ჩვენი ტეხურის ტალდა. ოქტომბერი 1971.

შორეული განცდები

ზღვის მოქცევა რთა და ჩრდილობის დროა, მელანდება ტრთა მწუხარების მდენი. თივლიანი მთაო, დასეტყვილო ტაო, მოწყალეო დაო- მშვენიერო ფენი. მახსოვს(უნდა ვწერო): ლაქვარდების ჩერო, ბილიკები ცერო

მომევა ციხე-გოჯის, ფიქრი ფიქრზე ცხელი, როგორც უფლის ზელი, ვით ოცნება ნელი დადალული სოჭის. წამოვიდე გულო, მთაო გათახგული, სიყვარულით რაგული ლოცვა საღამოის: ვზებზე ჩრდილი ზეთა, ცრემლიანი მცხეთა,

ტივილები დღეთა, რომ ახრჩობდა ჯოის. აქ მომავალს ვენდე (არ თქვა: მოვიოთნეთ), რწმეხავ გულში ენთე იმედებად, ჩქარო. ოცნებაო ვრცელო, შუალამედე კრძელო, შეჩი სადღევრძელო იყოს ქართლის ქარო!

კირიათ-ათს. ივლისი 1976 წელი.

დათო აჯიაშვილი



თამარ პაპავას გარდაცვალება

ვაქრა სანთელი
შუქთა მფრქვეველი.
გლოგობს ყოველი,
მისი მცნობელი.
დარჩა ნათელი-
მისი ნაწერი,
ქართველ ქალების
სადიდებელი.

იყო დენილი,
შორით შთენილი.
წვავედა სახმილი,
ერის ძახილი.
წარსულს მზირალი,
აწმყოს მტირალი,
ქართლის მომავლის
იყო ტრფიალი.

მადლობა შენდა
ქართველო დედა,
მადლიერისა
შენი ერისა.

§§§ §§§ §§§ §§§ §§§ §§§

ტრფობა და ზრუნვა

სამშობლო ერთადერთია
ვითარცა დედა - მშობელი.
სიცოცხლეც გადაკვეთია,
ვინც იყოს მისი მგმობელი.

... ..

გული ამგსია ბროწელივით.
გული საგულეს აღარ მეტევა.
მით მოხეთქილი ნიაღვარივით,
მე შენზე ზრუნვა წამომეწევა.
წამომეწევა, ჩემო ძვირფასო,
და ორეულად დარჩება ჩემთან.
ტრფობა და ზრუნვა, ტრფობა და ზრუნვა
ნუ მომიშალოს შენი გამჩენმა.

... ..

გავეყები მინდვრებს,
ხევეებს, ბილიკებს
ჩამოვიტოვებ
უცხო გვირილებს

და უდაბნოში,
მწირი ბერივით,
ლოცვად დავდგები
მთელი არსებით:
დიდება შენდა!
დიდება შენდა!
ამ ჩემი გულის
ასე ავსებით...

... ..

მე ზეარაკი ვარ.
დამკარ, თოლიგე,
ბასრი მახვილი
გულს მოუკიდე
და სისხლი თბილი,
როგორც ზედაშე,
მამულიშვილებს
ჩამოურთიგე.

პარიზი. 1974

ჩიტუნები გალიაში

თვალზე ბინდი გადამეკრა,
რომ გიკქერი უბეებში :
ეგ მერცხლები, თვალწარმტაცი,
აბრეშუმის ბუდეებში.

... ..

თითქოს ბუდე აუშლიათ
ფრთხილობენ გალიაში.
თვალი მომქრეს, მზის სხივივით
ასხლექტილმა ბრილიანტში.

ქაბუკივით ამატებე.
შფოთავს დელავს ჩემი ენება.
მაგ ჩიტუნებს მე მოვევლი,
თუ იქნება შენი ნება.

... ..

თუ იქნება შენი ნება,
შენი ჭირი მე მქონია,
ცას აწვედება გახელება,
სიყვარულის სიმფონია.

პარიზი. 1976.

პერევისელი.